# კვალი

X წ. ყოველ-კვირეული გაზეთი. X წ.

№ 22 კვირა, 26 მაისი 1902 წლისა. № 22



**გაზეთის ფასი:** ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისს გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—„წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების“ კანცელარიაში და „კვალის“ რედაქციაში, ბარონის ქუჩაზე, № 27. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „КВАЛИ“.



შინაარსი: დარვინიზმი, X-სა.—შინაური მიმოხილვა.—ახალი ამბები.—კორესპონდენციები.—ლექსი, ნინო ნაკაშიძისა.—შაქროს აღსარება, ია ეკალაძესი.—საზღვარ-გარეთ.—ჟურნალ-გაზეთებიდან.- კუხის მაზ. ამხ. კრება, დასჯილისა.—მთავრობის განკარგულება.—რუსეთის ცხოვრება.—სამშობლოს ცაზე, რიგოლეტოსი.—მომ. ამხ. ევროპაში.—ბიბლიოგრაფია, გრ. რობაქიძესი.—წერ. რედ. მიმ.—განცხადებანი.


„კვალის“ რედაქცია გადავიდა ბარონის ქუჩაზე, სახლი № 27, ბ-ნ მარტიროსოვის შენობაში.

## დარვინიზმი.

### 2. ბუნებრივი ამორჩევა.

წინა წერილში ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ ყოველ ნაბიჯზე ბუნებაში გაჩაღებულია ბრძოლა. აქ ყოველ ორგანიზმს მუდამ დაყენებული აქვს კითხვა: ყოფნა თუ არ ყოფნა. ყოველი ორგანიზმი არსებობს იმის მეოხებით, რომ ოდესმე თავის სიცოცხლეში გაიმარჯვა. რატომ გაიმარჯვა მან და მეორე დამარცხდა? აი, ეს უნდა გამოვარკვიოთ. ხოლო სანამ ამას გამოვარკვევდეთ, საჭიროა გავითვალისწინოთ ერთი მოვლენა. ყველას კარგათ მოგეხსენებათ, რომ ადამიანს დიდ ძალი ცხოველები გაშინაურებული ყავს თავის სასარგებლოთ, აგრეთვე ის აშენებს არა ერთი ჯიშის მცენარეს თავისი სარგებლობისათვის. ხოლო ადამიანისთვის მცენარეში გინდ ამა თუ იმ ცხოველში სასარგებლოა ეს თუ ის თვისება, გინდ მისი ღირსება. მაგ., ცხვარი მას ყოველ უწინარეს უნდა მატყლისათვის. მაშ რამდენათ მატყლი გრძელი, წმინდა და რბილი იქნება, იმდენათ მისი მომცემი ცხვრის ჯიში სასურველია პატრონისათვის აგრეთვე ხეხილებში ერთი ჯიში კარგია იმიტომ, რომ ადრე შემოდის, მეორე კარგათ ინახება, მესამეს მიმზიდველი გემო აქვს და სხვა. ხოლო როგორ იქცევა ადამიანი, რომ სწორეთ სასურველი ჯიშის ორგანიზმები მოაშენოს? ამ კითხვის გამოსარკვევათ მე მოვიყვან მხოლოთ ერთ მაგალითს ჰექსლის წიგნიდან. ამ ასი წლის წინეთ ამერიკაში გაჩდა ერთი ჯიშის ცხვარი, რომელიც შემდეგ ევროპაშიაც გამრავლდა ანკონის ჯიშის სახელით. აი, როგორ მოხდა ეს საქმე. 1791 წ. ამერიკის ერთ შტატში, მასაჩუზეტში ცხოვრობდა ფერმერი, სახელათ სეტ რაიტი. ამ ფერმერს ყავდა ცხვრის პატარა ფარა, რომელშიაც მხოლოთ ერთი ვერძი ერია. ერთმა ცხვარმა მოიგო ახირებული აგებულობის ბატკანი. ამ ბატკანს ქონდა მეტათ გრძელი სხეული, ხოლო ფეხები მოკლე და დაკლაკნილი. აი სწორეთ ამ გარემოებით ისარგებლა შორგამჭვრეტელმა ფერმერმა. იმ მიდამოებში, სადაც სეტ რაიტი ცხოვრობდა, მინდვრებს შემოღობულები ქონდა ღობეები. მაგრამ მოუსვენარ ცხვრებს ვერ იმაგრებდა ღობე, ისინი ადვილათ გადადიოდენ ერთი მემამულის მინდვრიდან მეორისაში. ეს კი ბადებდა მუდმივ უკმაყოფილებას, დავას და ჩივილს მემამულეთა შორის, ამიტომ სეტ რაიტმა იფიქრა, ჩემი ცხვრები ისე ფეხ მოკლე რომ იყვენ, როგორც ეს ბატკანია, მაშინ ასეთ დავიდარაბას ავიცდენდი თავიდანო, რადგან მაშინ მსუნაგ ცხოველებს სხვის მინდვრებში გადასვლა აღარ შეეძლებათო. ამიტომ მან დაკლა წინანდელი ვერძი და მის მაგიერ ფარაში გაუშვა მოკლე და მრუდე ფეხიანი ახალგაზდა ვერძი (ჭედილა). შედეგი საოცარი იყო. ფარაში თანდათან იბადებოდა ისეთივე ბატკნები, როგორიც იყო ვერძი. პატრონიც სამრავლოთ სწორეთ ასეთ ცხვრებს ტოვებდა. ბოლოს მთელი ფარა მრუდე და მოკლე ფეხიანი ცხვრებისაგან შედგებოდა, ამნაირათ სეტ რაიტმა აიცდინა თავიდან წინანდელი უხერხულობა. მალე მის მიერ მიღებული შედეგებით ისარგებლეს სხვა მემამულეებმაც და ბოლოს მთელ ოლქში გამრავლდა ანკონის ცხვრის ჯიში. ამ ნაირათ ადამიანმა ხელოვნურათ გააჩინა ცხოველის სწორეთ ისეთი ჯიში, როგორიც მას სურდა. მან თანდათან ამოარჩია ისეთი ეკზემპლიარები, რომელთაც მისთვის სასურველი ნიშნები ქონდა და ამ სახით ხელოვნურათ მიაღწია საწადელს. აი, ასეთ პროცესს ჩვენ ვეძახით ხელოვნურ ამორჩევას. როცა თქვენ მარგლით სიმინდის ყანას, ერთ ეგზემპლიარს ჰრით, მეორეს უშვებთ, აქაც ხელოვნური შერჩევაა. ყოველი მებაღე ხელოვნურათ არჩევს თავის ხეხილებს, ერთს ამრავლებს და აუმჯობესებს, მეორეს უსპობს სიცოცხლეს. ასევე იქცევა ყოველი საქონლის მომშენებელიც. კარგი ჯიშის ცხენს ამრავლებს და აუმჯობესებს. ერთი სიტყვით ადამიანი მუდმივ ცდილობს მის ხელში მყოფ ორგანიზმებში გააჯიაროს მისთვის სასურველი თვისებები, ის ხელოვნურ შერჩევის გზას ადგია. მერე რა კანონით ხელმძღვანელობს ადამიანი ხელოვნურ ამორჩევის დროს? პირველი კანონი არის მემკვიდრეობითი კანონი. შვილი ყოველთვის გავს თავის მშობლებს, შვილს ბევრათ თუ ნაკლებათ გამოყვება თავისი მშობლების თავისებურობა.

მეორე მხრით თქვენ ვერ დაასახელებთ ორ ისეთ ორგანიზმს, რომ ისინი სავსებით ერთმანეთს ემზგავსებოდენ. თქვენ წინ რის წიფლის ტყე. ათვალიერებთ წიფლის ხეებს. ყველა ერთმანეთს გავს, ყველა ეს ხეები ერთი ჯიშისაა. მარა იმავე დროს ორ ხესაც ვერ იპოვით მათში, რომ მზგავსი იყვენ, მასთან ერთათ განსხვავებაც არ იყოს. ან ფოთლის სისხოთი განსხვავდებიან, ან ნაყოფის, ან ტოტების მიმართულებით და დალაგებით. იგივე ითქმის ცოცხალ ორგანიზმზეც. ვერ იპოვით ორ მტრედს ისეთს, რომ სავსებით ერთმანეთის თანაბარი იყვენ. არც ორი ადამიანი იქნება, რომ ერთმანეთში სრულიათ არ განსხვავდებოდენ. ინდივიდუალური თავისებურება აქ აუცილებელი მოვლენაა. არ შეიძლება, რომ შვილი სავსებით მშობლების გამოსახვა იყოს. მაში უსათუოთ თავს იჩენს ცვალებადობა. მაშ ერთი მხრით მემკვიდრეობითი კანონი, მეორე მხრით ცვალებადობითი. ადამიანსაც გათვალისწინებული აქვს ეს ორი კანონი. იმან დაკვირვების მეოხებით იცის, რომ ორგანიზმში ეს თუ ის ცვლილება ჩნდება. მეორე მხრით, ისიც იცის, რომ ეს ცვლილება მემკვიდრეობითი კანონის ძალით გადაეცემა ჩთამომავლობას, ამიტომაც ის აქცევს ყურადღებას იმ ეკზემპლიარს, რომელშიაც მისთვის სასურველი თვისება ყველა დანარჩენ ეკზემპლიარებთან შედარებით უფრო მკაფიოთ არის გამოსახული და ცდილობს ისე შეარჩიოს, რომ ამ ეკზემპლიარის ჩთამომავლობა მრავლდებოდეს. ბოლოს რამდენიმე თაობის შემდეგ ის ხედავს, რომ მისთვის საჭირო თვისება გაძლიერდა ორგანიზმში. ამნაირათ ხელოვნური შერჩევის წყალობით ჩვენ მივიღებთ სულ ახალ მოდგმას. აქ ადამიანის მოქმედება მაინც და მაინც დიდ რამეს არ შეიცავს. ის მხოლოთ ცდილობს მოსპოს სულ ყველა ის ეკზემპლიარები, რომელნიც მის იდეალს არ ეთანხმება, ხოლო ამრავლოს ისინი, რომლებშიც მისთვის სასურველი თვისება უფრო მკაფიოთაა გამოხატული. მაშ აქ არჩევაა. თქვენ ერთს სპობთ, მეორეს ტოვებთ. ამასვე ვხედავთ ჩვენ ბუნებაში. წარმოიდგინეთ, რომ ერთ ოთხ კუთხედ გოჯზე დავარდა ოცი მარცვალი, ეს ადგილი კი საკმარისია მხოლოთ ერთისთვის. ამ შემთხვევაში მათ შორის გაიმართება ბრძოლა და რომელსაც გამოაჩნდება ცოტაოდენი უპირატესობა სხვებთან შედარებით, ის გამოვა გამარჯვებული. მაგალითათ, თუ იმას უფრო თხელი კანი აქვს, მაშ უფრო მგძნობიარეა მზის სხივებისათვის და სინესტესთვის, უფრო ადრე გაღივდება და მოასწრებს სხვებს ადგილის დაჭერას. ამ ნაირათ 20 თესლში 19 მოისპობა, ხოლო ერთს სიცოცხლე შერჩება. და ეს სიცოცხლის შერჩენა გამოწვეულია მისი თავისებურობით, რომელიც მას უპირატესობას აძლევს სხვებთან შედარებით, იგივე თავისებურობა გადაეცემა შთამოებასაც და ამ ნაირათ მცენარის არსებობისთვის სასარგებლო თვისება განვითარდება მასში. მაშ აქაც ჩვენ ვხედავთ ამოჩევას. ხოლო ეს ამორჩევა ადამიანის ნებით კი არ მომხდარა. არა, აქ სულ ყველა თავის ნებაზეა მიგდებული, აქ ისინი ერთმანეთს უპირდაპირებენ მთელ თავის ძალღონეს და რომელსაც ბრძოლისთვის უფრო გამოსადეგი თვისებები აქვს, სიცოცხლესაც ის ირჩენს. აი, ეს არის ბუნებრივი ამორჩევა. რა კი ცოცხალი ორგანიზმები განუსაზღვრელათ მრავლდებიან, ხოლო მათთვის საარსებო პირობები განსაზღვრულია, ამიტომაც ისინი იბრძვიან. ერთი იხოცება, მეორე რჩება, ხოლო რჩება ის, რომელიც უფრო შეეგუა საარსებო პირობებს, რომელსაც გამოაჩნდა უფრო გამოსადეგი ცვლილება. ხოლო გამოსადეგი ცვლილება ორგანიზმთა მთელ თაობაში თან და თან მკვიდრდება და ვითარდება მემკვიდრეობითი კანონის ძალით. ამ გვარათ ბუნებაში მუდმივი ბრძოლის გამო თავს იჩენს მუდმივი ცვალებადობა, რომელიც რამდენიც დრო მიდის, უფრო უკეთ და უკეთ ათვისებს, აწყობს ორგანიზმს საარსებო პირობებთან. აი აქ არის ორგანიული ბუნების პროგრესიულ განვითარების მიზეზი, აქ არის წყარო მისი პროგრესიული ევოლუციისა.

რასაკვირველია, თუ ადამიანმა თავისი [illegible] ძალის შემწეობით ხელოვნური ამორჩევის ძალით შექმნა ახალი ჯიშის ცხოველები, მთელი ბუნება თავისი ძალებით გაცილებით უფრო მეტს შვრება. „თუ ადამიანს შეეძლო მიეღო და მართლაც მიიღო თვალსაჩინო შედეგები მეტოდიური არჩევის შემწეობით, რაღა შეეძლება თვით ბუნებას! ადამიანს შეუძლია გავლენა იქონიოს მხოლოთ გარეგან, ხილულ თვისებებზე; ბუნება კი არა ზრუნავს გარეგნობაზე: ეს გარეგნობა მის ამორჩევაში იმდენათ შედის, რამდენათ ის სასარგებლოა ორგანიზმისათვის. ბუნებას გავლენა აქვს ყოველ მალულ ორგანოზე, ყოველ ცოტაოდენ ცვლილებაზედაც ორგანიზმას ორგანიზაციაში, სიცოცხლის მექანიზმის მთელ მოწყობილებაზე ყოველი მის მიერ ამორჩეული ნიშანი სასარგებლოა, გამოსადეგია. ადამიანი არჩევს თავისი სარგებლობისათვის, ხოლო ბუნება — ორგანიზმის სარგებლობისათვის. ადამიანი არ ხოცავს ყველა სუსტ ცხოველებს, პირ იქით ცდილობს დაიცვას ისინი მავნე გავლენებისაგან. ბუნებრივ მდგომარეობაში კი ცოტაოდენი ცვლილებაც საკმარისია ორგანიზმების აგებულობაში ან მდგომარეობაში, რომ გამარჯვება მოიპოვოს მან საარსებო ბრძოლაში". „მეტაფორიულათ რომ გამოვთქვათ ჩვენი აზრი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბუნებრივი ამორჩევა, ყოველ დღე, ყოველ წუთს იკვლევს მთელ ქვეყნიერებაზე ყოველ ცვლილებას, სულ შეუმჩნევსაც კი, იშორებს ყოველ მავნე ცვლილებას, აგროვებს, თავს უყრის სასარგებლოს. უხმაუროთ, შეუმჩნევათ მუშაობს ის, სადაც და რა დროსაც არ უნდა შეემთხვას, ყოველი ორგანიული არსების გასაუმჯობესებლათ, ცდილობს შეაგუოს ცხოვრების ორგანიულ და არა ორგანიულ პირობებს. ჩვენ ვერ ვამჩნევთ ამ ცვლილებათა უჩინარ მსვლელობას და მხოლოთ მისი შედეგები გვაოცებს. ჩვენი ცნობები გეოლოგიურ ეპოქების შესახებ იმდენათ ბუნდოვანია, რომ ჩვენ მხოლოთ შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღევანდელი ორგანიული ფორმები ისეთი აღარ არიან, როგორიც იყვენ წინეთ". ბრძოლა არსებობისათვის საგრძნობელია, როგორც ერთი და იმავე მოდგმის წარმომადგენელთათვის, აგრეთვე, სხვა-და-სხვა მოდგმათათვის. ხშირათ ერთი მოდგმა იმდენათ მრავლდება ამა თუ იმ ადგილს, რომ სრულიათ განდევნის აქედან მეორე მონათესავე მოდგმას. ცხადია, რომ ის უფრო შეგუებია ადგილობრივ პირობებს. ბევრ ადგილას ერთი ჯიშის ვირთაგვა მეორეს სრულიათ გამორეკს. შოტლანდიაში ერთი ჯიშის შაშვი იმდენათ გამრავლდა, რომ საგრძნობელათ შეამცირა მომღერალ შაშვის მოდგმა. ამას წინეთ ამერიკაში ერთი მოდგმის მერცხალმა გამოაძევა მეორე მოდგმა. ყანებშიაც ამავე ბრძოლას ვხედავთ. სხვა და სხვა ჯიშის ბალახი ებრძვის პურს და თუ არ ადამიანის ხელი, ვინ იცის, რომელი დარჩებოდა გამარჯვებული. ამ ნაირათ ჩვენ ვხედავთ, რომ ბრძოლა არსებობისა თვის და იმისაგან მომდინარე ბუნებრივი ამორჩევა—აი ის ძირითადი საფუძველი, რომელმაც გამოიწვია ორგანიული ბუნების საოცარი განვითარება. ბუნება მუდმივ ცდილობს შეაგუოს ორგანიზმი გარეგან პირობებს, ულმობელათ სპობს ყოველ თავის შეცდომას, ხოლო აძლიერებს და ავითარებს ყოველ სასარგებლო ნაბიჯს. ყოველი შეცდომის მოსპობა, ყოველი გამოსადეგი ცვლილების დამკვიდრება, მუდმივი ბრძოლა, მუდმივი ცვლა, მუდმივ დახოცვა გამოუდეგართა, ხოლო დაცვა უფრო შეგუებულთა —აი ის გზა, რომელსაც ბუნება ადგია და რომლის შემწეობით ორგანიზმები თან და თან იცვლებიან და ვითარდებიან.

X.

## შინაური მიმოხილვა

გასულ კვირას მოხდა წერა-კითხვის საზოგადოების კრება. ყოვლად პირველისა უნდა აღვნიშნოთ ის სასიხარულო მოვლენა, რომ ჩვენი საზოგადოება მეტი ყურადღებით ეპყრობა საქმეს. შარშან და წელს პირველივე კრება კანონიერი იყო, ესე იგი არა ნაკლებ ორმოცდაათი წევრისა დაესწრო მას. წინა წლებში კი მეორე კრებაზედაც თითქმის არავინ ესწრებოდა. ერთ ანგარიშში ვკითხულობთ — კრებას ცხრამეტი კაცი დაესწროვო. თუ აქიდან გამოვრიცხავთ გამგეობის ცამეტ წევრს და აგრეთვე სარევიზიო კომისიის სამ წევრს, რომელნიც, სხვა რომ არა იყოს რა, ვალდებულნი არიან კრებას დაესწრონ, დაგვრჩება სამი გარეშე პირი. ასეთი იყო წინანდელი კრებები. სულ სხვაა დღეს. დღეს ხალხს თითქო უფრო აინტერესებს განათლების საქმე, ის მეტი ხალისით მოდის კრებაზე და გულმოდგინეთ ადევნებს თვალს მის მსვლელობას. ეს აუცილებელი საბუთია ჩვენი განვითარების, ჩვენი წინსვლის. და ნურავინ იტყვის, რომ ეს წინსვლა რომელიმე დაწესებულების ფარგალში იყოს მოწყვდეული. არა, იგი საზოგადო მოვლენაა და მისი შეჩერება არავითარ დაბრკოლებას არ ძალუძს. ხოლო საზოგადოებრივი განვითარება მოითხოვს თვითცნობიერებას, კრიტიკას. ვისაც თავისი ძალის იმედი აქვს, ის უშიშრათ აღიარებს თავის შეცდომას, დაურიდებლათ ამხილებს სხვის სიყალბეს, რადგან კარგათ იცის, რომ განვითარება და სიყალბე ერთათ ვერ მოთავსდებიან. სადაც ერთია, იქ მეორეს ადგილი არ უნდა ქონდეს, სადაც მეორე ბუდობს, იქ პირველს ფეხი არ დაედგმება. ამიტომ მუდმივ სინათლით მსვლელობა, მუდმივ სიმართლის ძებნა მისი ნიშნობლივი თვისებაა. არც გასაკვირი იყო, რომ ჩვენი საზოგადოების ერთი შკოლის ამბავის გარკვევა მოეთხოვათ. ჩვენში არავისთვის დასამალავი არაა, რომ იმ ორიოდე დაწესებულებაში, რომელიც ჩვენ მოგვეპოება, ძალიან ხშირათ მოსამსახურე პირების ინტერესები ირღვევა, ბევრჯელ უდანაშაულოთ ისჯებიან ისინი. რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაში წაყრუება დიდი შეცდომა იქნებოდა, შეცდომა მიუტევებელი. მარა ისიც აუცილებლათ საჭიროა, რომ ყოველმა საზოგადოების წევრმა თავის უფლებების აღდგენა ეძიოს იმავე საზოგადოებაში და არ გამოვიდეს მისი ფარგლებიდან. რა ვუყოთ, რომ დღეს ვერ გაიმარჯვეთ, თუ მართალი ხართ და სიმართლის გზაზე გინდათ იაროთ, თავის დღეში არ გადასცდეთ საზოგადოებრივი სჯის ფარგალს და იქით-აქით ხელის პოტინი არ დაიწყოთ. თვარა მაშინ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, არავინ ხელს არ გაგიწვდით.

მარა მიუბრუნდეთ კრებას. გამგეობამ თავის წევრების პირით არა ერთხელ წინადადება მისცა კრებას, არ შეხებოდა შკოლის საქმეს, სანამ ის საბოლოოთ არ გამოირკვეოდა. ზოგი კრებიდან წინააღმდეგი იყო ამის, უმეტესობა კი იძულებული იყო გამგეობის წინადადება მხედველობაში მიეღო. მარა გამოჩნდენ სხვა ჯურის ვაჟ-ბატონებიც; მათ შესძახეს გამგეობას: თავს რათ იწუხებთ, არავის არა აქვს უფლება თქვენ მოქმედებას შეეხოსო. რა საკვირველია, ამ სულმოკლე ვაჟ-ბატონების აზრი ისე განცალკევებული დარჩა. და დასაჯერებელიც არ იყო, რადგან სადაც არჩევანია, იქ ანგარიშიც არის. და თუ ანგარიშს ვიხილავთ, ყოველთვის შეგვიძლია ანგარიშის ამა თუ იმ ადგილის განმარტება მოვითხოვოთ. ამაზე ლაპარაკიც არ ღირს, რადგან თითქმის არავინ არ ყოფილა ამის წინააღმდეგი, არ ყოფილა წინააღმდეგი თვით თავმჯდომარეც. როგორ ნუ გაკვირდებით ამის შემდეგ, როცა „დარბაისელი" „ივერია" სულ სხვას წერს. გამგეობამ არ დააკმაყოფილა საზოგადოების ცნობის მოყვარეობა, რადგან წეს. მე-13 მუხლი სწორეთ ასეთი არ დაკმაყოფილებისათვის არის გაჩენილიო. „ივერია" რომ მაინც და მაინც სინათლის მოყვარული არაა, ეს ჩვენც ვიცით. მარა ნუ თუ მისი თანამშ[illegible]ბრმავა ამ სიბნელემ, რომ კრებიდან [illegible] ვერ მოიტანა? სწორეთ საოცარია, უნდა მოგახსენოთ, როცა ერთი და იმავე შენობის ერთი კუნჭულიდან მეორე კუნჭულამდე სიმართლე ვეღარ მიგიწდვენიათ! და თუ რამეს ვინმე ავნებს, ყველაზე უწინ თქვენ, გადაფუჩეჩების და მალულობიის მოტრფიალენო. მონური გულმოდგინება თქვენი მეტათ გადაჭარბებულია. და ჯობს კარგი მოპირდაპირის გულახდილობა, ვიდრე მონის გადაჭარბებული ლაქუცი.

* * *

ამას წინეთ თბილისის საოლქო სასამართლოში გაირჩა ერთი საქმე, რომელზედაც ჩვენ გვსურს მივაქციოთ მკითხველის ყურადღება. საქმე იმაშია, რომ ხშირათ ჩვენ ვერ ვსარგებლობთ იმ უფლებებითაც რომელიც ჩვენთვის კანონმდებლობას მიუნიჭებია. ამის მიზეზი, რასაკვირველია, ბევრია, მარა ყველაზე უწინ უმეცრება და უცოდინარობა და მათი შვილი თავის უფლებების შეუგნებლობა... ორი წლის წინეთ ვინმე ტერ-გაზარიანცს მიუბარებია მეჩექმე არუტინიანცისათვის თავისი 14 წლის ძმა. ხელოსანი მეტათ უდიერათ ეპყრობოდა თავის შეგირდს; ბოლოს შეუკრა ხელ-ფეხი და დაუწყო თოკით ცემა, საბრალო შეგირდი მთელ საათს შეკრული ეგდო და ბოლოს, როცა თოკი მოაშორეს, სიარული ვეღარ შესძლო, რადგან ფეხები ძალზე დაუსივდა. ბავშვს უაქიმეს საავათმყოფოში, მარა მაინც მარჯვენა ფეხის თავისუფლათ მოძრაობა აღარ შეუძლია. ოლქის სასამართლომ დამნაშავე არუტინიანცს გადაუწყვიტა ყოველ უფლების ჩამორთმევა და დამნაშავეთა გამასწორებელ როტაში გაგზავნა ერთი წლით. გარდა ამისა ერთ ხნობით გადახდა 116 მ. და ყოველ თვეობით ბავშის მორჩენამდე 15 მ.

ეს ამბავი საყურადღებოა არა თავისი სიშვიათით. არა, ასეთი მოვლენა ხშირია. ხელოსნის მიერ შეგირდის უკიდურესობამდე დაბეჩავება ჩვეულებრივია. რასაკვირველია, ყოველთვის დასახიჩრებამდე არ მიდის საქმე. მარა ისეც ბევრი წვალება ატყდება თავს ბავშის ნაზ ქმნილებას. საჭიროა და სასურველია, რაც შეიძლება, მეტი ფაქტი გამოქვეყნდეს ასეთი ქცევის შესახებ.

---

## სხვა-და-სხვა ამბები.

ამიერ კავკასიის რკინის გზებზე შემდეგი განკარგულება გამოცხადდა: „რადგანაც ტელეგრაფის მოხელეთა შტატი შეამცირეს, რაც მატარებელთა მოძრაობა „ჟეზლით" (კვერთხი) შემოიღეს, ყველა სადგურებზე სადგურ ჩაქვიდან დაწყებული მულანამდის, ჭალადიდამდის და დარკვეთამდის, სადგურ ბათუმის, ფოთის, სამტრედიის, ქუთაისის, რიონის, ყვირილის, მიხაილოვის, თფილისის და სხვა დიდ სადგურთა გარდა, — სადაც მხოლოთ თითო ტელეგრაფის მოხელე უნდა იყოს, უნდა დაწესდეს თორმეტი საათის მორიგეობა ტელეგრაფის მოხელისა დღეში, ე. ი. დილის რვა საათიდან საღამოს რვა საათამდე ყოველ დღე, დანარჩენ დროს, ე. ი. საღამოს რვა საათიდან დილის რვა საათამდე, ტელეგრაფს განაგებს სადგურზე მორიგი, რომელმაც უნდა მიიღოს და გარდასცეს მხოლოთ საგანგებო დეპეშები, სხვა დეპეშებს კი მატარებლებით გაგზავნის ან დილამდის დასტოვებს, როდესაც მორიგობაში ჩადგება ტელეგრაფის მოხელე. ამ სადგურებზე ტელეგრაფის მოხელენი უნდა გაანთავისუფლონ ხოლმე თვეში ორჯერ მთელის დღე-ღამით; მათ სამაგიეროთ სხვები გამოიგზავნებიან. ვინიცობაა, ამგვარ სადგურზე ტელეგრაფის მოხელე ავათ გახდა, რომლის

ამომცველელიც მაშინათვეა საჭირო, სადგურის უფროსებმა უნდა აცნობონ ნაწილის კონტროლიორ-მეხანიკებს, რომელნიც მაშინვე გაუგზავნიან სამაგიდრო მოხელეს, ამ მოთხოვნილების შესრულების შემდეგ, კონტროლიორ-მეხანიკები ვალდებულნი არიან აცნობონ ტელეგრაფის უფროსს გაგზავნილ მოხელეებზე.

---

ბაქოს მცხოვრებ ნაფიც ვექილს ა. პ. ლებედინსკის აღუძრავს შუამდგომლობა კავკასიის მთავრობის წინაშე ნება მიეცეს მას გახსნას ავტომობილით მიმოსვლა მგზავრებისა და საქონლის ზიდვისა: 1) ქუთაისს, ლაბა ონს, საკურნალო წყლების უწერის (რაჭის მაზრა) და დაბა ცაგერის (ლეჩხუმის მაზრა) ქუთაისს და სამკურნალო წყლებს წყალტუბო (ქუთ. მაზრა) შუა; 3) ზეკარის გზაზე, ქუთაისს და აბასთუმანს შუა; 4) ართვინის გზაზე, ბათუმსა და ართვინ შუა; 5) ქუთაისს, ხონს და სადგურ სამტრედიას შუა, 6) ოზურგეთსა და სად ნატანებ შორის.

---

დღეს, 26 მაისს, სათავად-აზნაურო ბანკის ბაღში გაიმართება სეირნობა და საქველმოქმედო ბაზარი „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ღონისძიებათა გასაძლიერებლათ. სეირნობის გამგეთ ყოველი ღონე უხმარიათ, რაც შეიძლება, უკეთესათ მოაწყონ საზოგადოების გართობა; იქნება მუსიკის ორი გუნდი, ზურნა; მოწვეულია აგრეთვე გამოჩენილი არტისტი მელინი, რომელიც მთელ პიესებსა და ოპერებს უკრავს უინსტრუმენტოთ (მუცლით მომღერალ-მოლაპარაკე); მოწყობილი იქნება სხვა-და-სხვა სათამაშო-გასართობი ბავშვებისათვის. ბაზრისათვის მრავალი საინტერესო ნივთებია: სხვათა შორის, კარგი შემოწირულებაა მიღებული ქუთაისიდან. დასაწყისი ნაშვადღევის 3 საათზე. თუ ავდარი იქნა, სეირნობა გადაიდება ორშაბათ, 2 ივნისისათვის.

---

## კორესპონდენცია.

**ქუთაისის ქალაქის საბჭო.** 13 მაისის საბჭოს სხდომაზე არაჩვეულებრივი სიჩუმე იყო; ალბათ ჩვენი „დაღლილი“ მამები ცუდ გუნებაზე იყვნენ, ან და ერთი და იგივე საკითხების ათჯერ და ოცჯერ გადაღეჭვა ძალზე მოწყინდათ—თუმცა ისინი დღესაც გადუდებელია და ადვილი შესაძლებელია მისი მოხელება დიდხანს გაუძნელდეს ჩვენს თვითმართველობას.

აი საქმე რაშია: კონცესიონერმა მიხაილოვმა ქალაქს წმინდა და სადი წყალი უნდა მიაწოდოს (მუხ. 1). ის უნდა იქნეს გამოყვანილი შუა ქალაქიდან ზევით მეორე და მესამე ვერსტის შუა, ე. ი. ამ მუხლის ძალით მიხაილოვს ნება აქვს 2-ე ვერსტის დასაწყისიდან მესამეს ბოლომდის სადაც მოესურვება, იქიდან გამოიყვანოს წყალი. ასე ფიქრობს მიხაილოვი, მან კიდევაც ამოარჩია თავისთვის გამოსადეგი ადგილი, რომელიც მოდის სწორეთ იმ ადგილას—მეორე ვერსტის ბოლოს—რომელიც სქლათ არის დასახლებული და რიონი ისვრება. მიხაილოვის მიერ ამორჩეული წყლის სათავე ადგილობრივ დაათვალიერა საბჭოსგან დანიშნულმა კომისიამ, ადიარა, რომ ხსენებულ ადგილის წყალი გამოუდეგარიაო. წყალი გამოუდეგარია, მაგრამ მიხაილოვს უფლება აქვს ზემოხსენებულ ადგილიდან გამოიყვანოს ის. ჩავარდენ საგონებელში ჩვენი ქალაქის მამები და აირჩიეს ისევ კომისია, რომელსაც მიანდვეს ხელშეკრულების გადათვალიერება. კომისიამ ადასრულა მინდობილება და თავის დასკვნა 13 მაისს საბჭოს წარუდგინა. მას აღმოუჩენია პირობაში ერთი მუხლი სადაც წერია: წყლის სათავე უნდა იყოს выше города-ო. ეს выше города კომისიის აზრით=за чертой города-ს, რომელიც სწორეთ მესამე ვერსტის ბოლოშია. კომისიის წევრთა უმეტესობამ დაამშვიდა საბჭო; რადგანაც ეს выше მოვნახეთ, აწი მიხაილოვი ვერაფერს გვიზამს, ის ვალდებულია წყლის სათავე ზევით აწიოს და ქალაქს ფარგალს გარეთ გააკეთოსო. ბ. მ. დარახველიძე—ხსენებულ კომისიის წევრი, არ ეთანხმება სხვებს,—როგორც ყოველთვის, თავის განსაკუთრებული მოხსენება შემოაქვს საბჭოში: მართალია პირობაში წერია выше города, მაგრამ ეს ადგილი მესამე ვერსტის ბოლოშია; თითქმის კიდევ იქით, მიხაილოვს კი შეუძლია მეორე და მესამე ვერსტის მანძილზე სადაც უნდა იქ გამოიყვანოს წყალიო; ჩემი ფიქრით წავაგებთ, ქალაქიც იზარალებს და ჩვენც თავი მოგვეჭრებაო. დარახველიძის მოხსენება საბჭომ უარყო, კომისიის დასკვნა მიიღო და გამგეობას დაავალა გააცნოს ის მიხაილოვს. მეორე ნაღეჭი და ჯერ კიდევ მოუნელებელი საკითხი—ეს ქუთაისში ელექტრონის ტრამვაის გაყვანაა. მიხაილოვის მიერ შედგენილი პროექტი ქალაქის გამგეობამ სამინისტროში გაგზავნა. სამინისტროს განუხილავს პროექტი, ნება დაურთავს ტრამვაის გაყვანაზე, მაგრამ პროექტის ზოგიერთი ადგილები არ მოწონებია და შესასწორებლათ ისევ უკან გამოუგზავნია ქალაქისთვის. საბჭომ მოისმინა გამგეობის მოხსენება და შემდეგ მასვე დაავალა ახლავე გადაცეს ხსენებული პროექტი მიხაილოვს შესასწორებლათ და დაავალოს უკანვე დაუბრუნოს ქალაქს ის სამი თვის განმავლობაში.

რომ მოინდომონ აქაურმა ყასბებმა, ერთ მშვენიერ დღეს მთელ ქალაქს შიმშილით დახოცვენ. და გასაკვირიც არ არის; ვინც ჩვენი ქალაქის პატრონებს იცნობს, აბა ის რას შეუშინდება. წარმოიდგინეთ, ქალაქის გამგეობას სურს ხორცს ნიხრი დაუკლოს, ეს გაიგეს ყასბებმა, მივარდენ ქალაქის თავთან და კატეგორიულათ გამოუცხადეს: ნიხრის დაკლება და საყასბოების დაკეტვა ერთი იქნებაო. გამგეობაც დაფიქრდა, მან ჯერ ისიც არ იცის, თუ რა ფასებია საქონელზე მახლობელ ქალაქებში და ნიხრის დაკლებას კი აპირებს. გამგეობამ—თუმც მოწიწებით—მაინც წარუდგინა საბჭოს ნიხრის შესახებ მოხსენება; ვაჭარ-ხმოსნებმა ნიხრის დაკლებაზე უარი განაცხადეს. სხვები დაკლებას თხოულობდენ. თავმჯდომარე—ქალაქის თავი აცხადებს, რომ ყასბები საქონლის დაკვლას აღარ აპირებენ, თუ ნიხრს დაუკლეთო. ჩვენ კი არ ვიცით, მართლა საზარალოა მათთვის ნიხრის დაკლება თუ არაო.—საქმეც ის არის, რომ არაფერი არ იცით და ყველა თავზე დაჯდომას გვიპირებსო—მკვახეთ შეუტია ერთმა ხმოსანთაგანმა თავმჯდომარეს. ხმის უმეტესობით ნიხრს დაუკლეს, (1. ხარ. 10 კ. 2 ხარ. 9 კ.) რომელიც მხოლოთ პირველ ივნისიდან შევა ძალაში.

**Parole.**

---

**ქ. ბათომი.** არა ერთხელ და ორჯელ აგვინიშნავს, რომ ბათომის ქართველთა საზოგადოება მეტათ და მეტათ საჭიროებს ქართულ წარმოდგენებს მეთქი და თუ კვლავ ამ განმეორებით ვიწყებთ ჩვენ კორესპონდენციას, ეს მიტომ, რომ ამ გარემოებას უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ აქაურმა სცენის ძველ მოყვარეებმა. ვხმარობ სიტყვას „ძველს“, რადგან ახალი სცენის მოყვარენიც გამოგვიჩდენ და ეს „ძველი“ და „ახალი“ ერთმანეთში არ უნდა აურიოთ. საქმე იმაშია, რომ ამ ორი წლის წინათ აქ იმართებოდა ფას-დაკლებული სახალხო წარმოდგენები; წარმომდგენლები ენერგიულათ, გულმოდგინეთ ეკიდებოდენ საქმეს და საზოგადოებაც მეტის მეტი კმაყოფილი რჩებოდა მათი თამაშით. მარა დრონი იცვალენ და, სამწუხაროთ, ეს დასი დაიშალა. გამოჩნდა მეორე დასი, რომელიც მართლა რომ „გულმოდგინეთ“ ეკიდება საქმეს, თუ ამ „გულმოდგინეობას“ დავარქმევთ მათ მიერ ხშირ-ხშირათ წარმოდგენების მართვას. დადგეს რამდენიმე პიესა, ხალხიც ბლომათ დაესწრო მათ პირველ წარმოდგენას, მარა... მარა საქმე იმაშია, რომ მარტო სურვილი სცენაზე ოთამაშობისა საკმარისი არ ყოფილა, თურმე საჭიროა ცოტაოდენი ნიჭიც, პიესების რიგიანათ შესრულება, თვარა უამისოთ საზოგადოებას ხალისს დაუკარგავდა. შეიძლება სცენის მოყვარეებმა რამდენიმე მანეთი ჩაიჯიბონ და ამით თავის თავს სარგებლობა მოუტანონ, მარა, მეორე მხრით, ისიც შესაძლებელი ყოფილა, რომ გონებრივი მხრით საზოგადოებას მეტათ დიდი ზა-

რალი მაწოდონ. აი, სწორეთ ამგვარი სარგებლობა მოაქვთ ჩვენი სცენის ახალ მოყვარეებს. მათი წარმოდგენებით ხალხს გული აუცრუვდა და მიუხედავათ იმისა, რომ ხშირათ თითქმის ცარიელ თეატრში ახდენენ პიესების წამებას და ხშირათაც იძულებული ხდებიან ხალხის დაუსწრებლობის გამო წარმოდგენა გადადვან, მარა მიუხედავათ ამისა, ვამბობ მე—მათ გული არ აცრუებიათ და უფრო მეტი „გულმოდგინეობით“ მართვენ და მართვენ წარმოდგენებს, აწამებენ და აწამებენ პიესებს. და თუ კიდევ ამგვარ სცენის მოყვარეთა თამაშს, ასე თუ ისე გასავალი აქვს აქ და რამდენიმე პირი მაინც ესწრება, ეს კიდევ იმას ამტკიცებს, რომ ბათომის ქართველი საზოგადოება, მოკლებული ხეირიანათ შესრულებულ წარმოდგენებს, იძულებული ხდება, „სულ არაობას რაღაცა მაინც სჯობიას“ გამო, გახდეს მოწამე იმისა, თუ რას ნიშნავს და რა არის პიესების წამება.

ბოლოს მოგვხედა ციურმა ძალამ და 19 ამ თვეს ვიხილეთ სცენაზე სცენის ძველი მოღვაწენი, ვიხილეთ მათი დახელოვნებული თამაში, წარმოადგინეს „პარიჟის ღატაკნი“. ახალ სცენის მოყვარეთა მიერ საზოგადოების აბუჩათ აგდების გამო, ძველები იძულებულნი გახდენ აფიშებზე მსხვილ-მსხვილი ასოებით გამოეცხადებიათ თავისი გვარები და მით ეუწყებინათ საზოგადოებისათვის, რომ მას, საზოგადობას, საქმე ექნება სცენის ძველ მოყვარეებთან და არა პიესების ახალ ინკვიზიტორებთან. თეატრი სულ გაჭედილი იყო მაყურებლებით. რაც შეეხება პიესის შესრულებას, მიუხედავათ იმისა, რომ „პარიჟის ღატაკნი“ ძნელი შესასრულებელი პიესაა როგორც მოთამაშეთა მრავალრიცხოვანობისა, აგრეთვე სცენის ხელოვნურათ მოწყობითა და თვით შესრულებითაც, მიუხედავათ ყველა ამების, სცენის ძველმა მოყვარეებმა სძლიეს ეს დაბრკოლება; მათმა ხელოვნურათ თამაშმა გადააჭარბა ყოველივე მოლოდინს, ხალხის აღტაცებას, დაუსრულებელ „ვაშას“ ძახილს დასასრული არ ქონდა. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდენ: ქ-ნნი ნინა მგელაძისა, დები დარია და ნინა ალიხანოვები, ე. სოლოლაშვილი და ს. ელიზბარიანი; ბ-ნნი იაკ. ტერ-გეორქიანი, სტ. ხარაზიშვილი, დ. ალიხანოვი, პ. გოცირიძე, ალ. ელიზბარიანი და გვარამია. ყველამ საუცხოვოთ შეასრულა თავისი როლები, მარა აღსანიშნავია დების დარია და ნინაო ალიხანოვების თამაში, ეს პატივცემულნი ახალგაზრდანი, ახლათ სცენაზე გამოსულნი, საუცხოვო იყვენ—პირველი ანტუანეტას როლში, მეორე—ალიდას. ქ-ნ ანნა მგელაძეს ხომ კარგათ იცნობს ჩვენი საზოგადოება, როგორც ნიჭიერს სცენის მოყვარეს და მის თამაშზედაც ლაპარაკი მეტათ მიგვაჩნია. საუცხოვოთ შეასრულეს თავისი როლები აგრეთვე სტ. ხარაზიშვილმა (კასტონ), იაკ. ტერ-გეორქიანმა (მერნიე და დომინიკ), დ. ალიხანოვმა (პოლ), ელიზბარიანმა (ბიგო), პ. გოცირიძემ (დიუპონ). საზოგადოთ ყველანი კარგები იყვენ და საზოგადოებაც დიდათ კმაყოფილი დარჩა მათი თამაშით. აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: როგორც მკითხველი ხედავს, წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდენ სომხებიც. ეს „შეერთება“ ფრიად სასიამოვნოა და იმედი ვიქონიოთ, რომ მათ მიერ ქართულ წარმოდგენაში მონაწილეობის მიღება პირველი და უკანასკნელი არ იქნება. და თუ მე ამ პატივცემულ პირთ გულ მხურვალე მადლობას გამოუცხადებ, მგონი, შემცდარი არ ვიქნები. რომ მე ამით გამოვხატავ მადლობას მთელი ქართველი საზოგადოებისას.

დასასრულ გამოვთქვათ იმედი, რომ აქაური ძველი სცენის მოყვარენი კვლავ გააჩაღებენ წარმოდგენებს და მით ქართველ საზოგადოებას ერთ-ერთ ფრიად კულტურულ მოთხოვნილებას დაუკმაყოფილებენ.

კატო.

---

## იმედი.

როგორც სასტიკი, მკაცრი ზამთარი
ყოველ წლიწადს მტარვალობს, მეფობს,
ისე ჩემ გულში გამეფთა სევდა
და თავისუფლათ, მკაცრათ ბრძანებლობს.

—

მაგრამ გინახავთ, რომ ხანდისხან
ღრუბლებ შორისა მზის სხივი კრთება,
და გათოშვილსა ძირს არე-მარეს,
ვით სატრფო სატრფოს ეალერსება?!

—

ის გაზაფხულის მოციქულია,
მახარობელი განთიადისა,
ვარდზე კოკორის ამფეთქებელი
და შემმუსვრელი მკაცრი ზამთრისა!

—

ასე ჩემ გულსა ოდესმე მოფენს
იმედი სხივებს განახლებისას
და წმიდა რწმენას ამოაფეთქებს,
ვით მზე კოკორებს ყვავილებისას!

ნინო ნაკაშიძისა.

---

## შაქროს აღსარება.

(ამბავი).

შემდეგი *)

### IV.

ერთი პირი ძილი წყალსაც კი მოუვაო, იტყვიან ხოლმე, და შაქროს გულის წყრომასაც აბობოქრების შემდეგ ერთ ხანს მიეძინა, მიყუჩდა. უსულო არსებასავით უძრავათ იდო სკამზე და ნაგრძნობ-ნაფიქრით თავს ბრუდასხმული ისე მოდუნებული იყო, რომ ძლივს-ღა სუნთქავდა.

ქვეყანას რომ ჯანღი ჩამოაწვება ხოლმე შავბნელი ბურუსი თვალს უბნელებს ადამიანს და თავის გარემოს ვეღარაფერს არჩევს, თუმცა კი უზარმაზარი მთები ისევ ისე უძრავათ დგანან ხოლმე, ტყე-ველი განუწყვეტლივ შრიალებს, ხმელეთი ისეთივე ვრცელი და დაუსრულებელია, როგორიც იგი ეჩვენება ადამიანის პაწია თვალს მზიან და პირ-მოღიმარ ზაფხულის დღეში.

შაქროს გულის ჯანღიც მისი შავი ფიქრები იყო და ისეც დაუბნელეს გულ-გონება, რომ გზა ვეღარ გაერკვია, უუმწვავესი მათგანი ვეღარ გაერჩია უფრო მსუბუქისაგან და კითხვა-პასუხში ბუზივით გაბმული შაქრო ძეძვებში გახლართულ მომაკვდავ ცხოველს მოგაგონებდათ. მაგრამ აი გამოანათა მზემ ჯანღმა სული განუტევა, დაენაცვლა მზის ბრწყინვალე სხივებს, ქვეყანამ გაიხარა და ტყე-ველმა სიამოვნებით შეიფართხალა, შეიშმუშნა და მზის სადიდებლათ განუწყვეტელი სიმღერა გააბა. ადამიანმაც გზა გაიგნო...

გამოერკვა შაქროც დარეტიანებისაგან, შეურაცყოფილმა თავ-მოყვარეობამ მზესავით ჩააშუქა მის დაბნელებულ გონებაში და გრძნობამ დაჩაგრულის ადამიანისამ ფრთები შეისხა, შაქრო წამოუდგა მის დამაძაბუნებელ შავ-ფიქრებს და რამდენათაც წელან გამჩვარებული იყო იგი, იმდენათ ახლა გამოფხიზლდა და თავისი წელანდელი მდგომარეობა სასაცილოთ ეჩვენა.

— ოხ ადამიანო, ადამიანო რა დაუდევარი, რა უბედური ქმნილება ხარ! წამოიძახა შაქრომ და თავის გარშემო აღშფოთებით მიმოიხედა.

სანდრო შეკრთა. იგიც ღრმა ფიქრებში იყო გართული. შაქროსთან შეხვედრამ, მისმა უნუგეშო აწმყო მდგომარეობამ, შაქროს უცნაურმა საქციელმა და იმ დაჩაგრულმა კილომ, როგორითაც იგი მას გამოელაპარაკა, რაღაც სიბრალული აღუძრა მისდამი და თუმცა პირველათ უნდოდა თავი

*) იხ. „კვალი“ № 21(

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე დაენებებინა, მაგრამ ცნობის მოყვარეობამ გაიტაცა და ნელ-ნელა ფიქრებს მიეცა. ისე გაერთო სანდროც შაქროს ვითარების გამოცნობაში, რომ არც კი შეუმჩნევია, როგორ მოიტანა ლაქიამ სუფრა, ანთებული ფარანი და როგორ მოამზადა სანდროს ბრძანებისამებრ ვახშამი...

კართოფილის სანთლის ოდნავ მოციმციმე შუქი ციცინათელასავით დაფარფატობდა სანდროსა და შაქროს სახეზე და რაღაც მწუხარე შარავანდედით ამკობდა მათ. შავ-მანდილ წამოსხმული ხეები ასასებივით ამართულიყვენ ღამის წყვდიადში და განთიადის მოლოდინით გულ გადილეულნი თავის შესაქცევათ ფოთლებს ითვლიდენ.

— ვინ არის აქ? ეს რა ამბავია? ისეთის კილოთი იკითხა შაქრომ თითქოს ძილიდან გამოერკვაო და სანდროს გიჟივით დააცქერდა.

— მე ვარ! რას გაბრუებულხარ კაცო! ცოტა არ იყოს შეკრთომით უპასუხა სანდრომ.

— შენა ხარ? ჰო... მე მეგონა, ჩემ გვერდით ღორ მუცელა ადამიანი ზის მეთქი, რომელსაც მარტო სმა-ჭამა აგონდება... მაგრამ ეს ღვინო კი სწორეთ მისწრებაა... აბა ერთი დამისხი, აჩქარებით უთხრა შაქრომ და ღვინის ჭიქა გაუწოდ. სანდრომ ბოთლს თავი ახადა, ღვინო ჭიქაში დაუსხა და გაკვირვებით დააცქერდა. შაქრომ მწყურვალე ხარივით შესვა ღვინო, მერე ჭიქა ხელში შეატრიალა, ერთხელ კიდევ გაუწოდა სანდროს ასავსებათ და მოულოდნელათ შეეკითხა:

— რას მიყურებ აგრე გაშტერებით, გიკვირს განა ჩემი ასეთი დაქვეითება?

— მიკვირს სწორეთ! ყრუთ უპასუხა სანდრომ და სახის ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს შენდობას ითხოვს.

— ჩემის აზრით, შენ ჩემზე უფრო დაქვეითებული უნდა იყო. მე დავიტანჯე ცხოვრების სივერაგით, ვიგრძენ მისი უსამართლობა, მივხვდი რომ გულზვიადი ადამიანი პირუტყვზე უარესი მხეცია და შენ კი?.. შენ მკონი ცხოვრებისა არა გაგეგებარა.

— გასალანძღავი რა დაგიშავე, შე კაი კაცო! ძლივს წაილუღლუღა სანდრომ და განგანზე დაიწყო გაწევა. შაქროს ჭკუათა მყოფელობაში ეჭვი შეუვიდა...

— გასალანძღავი კი არა დასაღრჩობი ხარ. აუმაღლა ხმას შაქრომ და კვლავ ცარიელი ჭიქა გაუწოდა.

— გეყოფა შაქრო, რა დაგემართა, დამშვიდდი და მიამბე რაც გაწუხებს აგრე, იქნება გიშველო რამე თორემ ახლავე წავალ აქედან, შენ მგონი გუნებაზე არა ხარ! ორ აზროვანათ უთხრა სანდრომ და წარბი შეიკრა.

— ფეხსაც ვერ მოიცვლი აქედან ვიდრე მე ჩემ შეცდომას არ გამოვისყიდი. მე შევცდი რომ შენთან მოვედი, გესმის შევცდი ჩემში ყოფილმა ადამიანურმა გრძნობამ მეგობრობისამ ერთ წუთს კიდევ გაიღვიძა და იმ თავ-დავიწყებამდის მიმიყვანა, რომ ნერვებ აშლილი დიაცივით გავიმხლართე გული, გული უნდა ამომეგლიჯა იმ თავით ამ თავამდისინ, რომ ასე სასაცილო არა ვყოფილიყავი. ოხ, გული გული!..

— შაქრო, შაქრო! ნაღვლიანათ დუდუნებდა სანდრო და თან აქეთ-იქით იხედებოდა, ლაქიას თვალით ეძებდა, რომ გაჭირვებულ დროს ხელათ მოეხმო.

— მე შაქრო აღარა ვარ, შაქრო მოკვდა, ის შაქრო რომელიც ერთ დროს ციდან ვარსკვლავების მოწყვეტას ლამობდა, რომელიც ერთ დროს ცხოვრებდა ცხოველივით უზრუნველათ, უდარდელათ, რომელსაც უყვარდა და სიყვარული, თავ-დადება კი არ დაუფასეს... მე დღეს აჩრდილი ვარ ჩემის წარსულისა, მე ამხანაგი, თანმგრძნობი სწორეთ ახლა მჭირია და შენ კი!..

— მე რა დაგიშავე... ან რაში გინდა რომ მოგეხმარო? გაუბედავათ შეეკითხა სანდრო.

— ხა, ხა, ხა!.. დაცინვით გადიხარხარა შაქრომ და დაცინვითვე განაგრძო, აბა მითხარ [illegible] უნდა დამეხმარო, როდესაც მე დარწმუნებული [illegible]ნივარ. რა განგან იწევ, ჩემო კეთილო, მე არც გიჟი ვარ და არც მთვრალი. მე მხოლოთ გული მიმდის შენზე და შენისთანაებზე, რომლებიც ცხოვრებას არ იცნობთ მე თქვენ დამღუპეთ...

რას სულელობ ბიჭო!

— ვსულელობ კი არა მართალს ვამბობ... გული არ გაქვთ მეთქი გული, გესმის! დაიყვირა შაქრომ და მაგიდას ისე გაბრაზებით დაკრა ხელი, რომ ჭიქებმა ბზრიალი და ხტუნავობა დაიწყეს.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. იდაყვებზე თავჩამოკიდებული შაქრო ნარბენალივით ქშინავდა, მხოლოთ სკამის ზურგზე მიყუდებული სანდრო კი განცვიფრებით შეყურებდა შაქროსა და თავისათვის ანგარიში ვერ მიეცა. გრძნობდა კი რომ ამ კაცს რაღაც უბედურება უნდა შეხვედროდა მაგრამ რა? ვერ მიხვედრილიყო.

მოულოდნელათ გაისმა ყრუ, გულსაკლავი ქვითინი.

— შაქრო, შაქრო! რა გატირებს, ვაჟკაცი არა ხარ? წაიბურტყუნა ალექსანდრემ და გულმა კვნესა დაუწყო.

— მეც მწყუროდა სიცოცხლე. მეკ მინდოდა ბედნიერი ვყოფილიყავი მეც მიყვარდა... თავის შეკავებით თქვა შაქრომ და თითქოს ნანობსო, ლმობიერათ მიმართა.

— დიდი ხანია ჩემი „მე“ ჩემი არსება ორათ გაიყო... ბოლმა მორეული ხან მზათა ვარ კედელს თავი შევანარცხო, ხან კი მინდა დავივიწყო ჩემი წარსული და უკეთესი მომავალი განვიმზადო. სულის სიმშვიდე დავკარგე სანდო, სულის სიმშვიდე. ნეტა კაცის სისხლი მაინც არ დამეღვარა! ოხ! დაიგმინა შაქრომ და ისე დაიხლაკნა, როგორც ლახვრით განგმირული ვეშაპი და ნახევარზე ზეზე წამოდგა. მთლათ გამშრალმა სანდრომაც წამოიწია და შაქროს ხელი შეაშველა.

— ნუ მომეკარები. მე კაცის მკვლელი ვარ მეთქი!.. მაგრამ შენ ხომ არ იცი ვინ მოვკალი და ან სად... პირზე კლიტე დაიდე შენი ღვთის გულისათვის. ეს მესამე წელიწადია, რაც მე ის დავაღრჩე და ერთ მიყრუებულ ადგილას მიწაში კატის-კნუტივით ჩავფალი... ჰა, ხომ არავის ეტყვი? შემომფიცე, ჩემო სანდრო, ჩემო ყოფილო ამხანაგო... ხმა დაბლა ხვეწნით მიმართა შაქრომ სანდროს, მერე გაფითრებული დააშტერდა და გიჟივით გაიცინა.

სანდრო სასმენლათ მოემზადა, მაგრამ იმის თვალში შაქრო ერთპაშათ გამოიცვალა, ერთი თვალის დახამხამებაზე სულ სხვა ადამიანი შეიქნა. სანდრომ მხოლოთ ახლა დაინახა შაქროს უცნაური სახე, დანაოჭებული შუბლი, დატეტკილი ტუჩები, რაღაც საიდუმლოებით მოცული ჩაღრმავებული თვალები და წელში მოხრილი, დაძაბუნებული სხეული. სანდრომ მხოლოთ ახლა იგრძნო, რამდენათ უბედური უნდა ყოფილიყო ეს კაცი, რამდენი ტანჯვა და ვაება უნდა გამოევლო. მაგრამ რათ? რამ მიიყვანა აქამდის? ვერ ახსნა და აბლაბუდასავით გაება ფიქრთა ქსელში. სანდრო დარწმუნდა, რომ შაქრო გიჟი არ იყო, მაგრამ და მაინც სახიფათოს არას წარმოადგენდა მასთან ყოფნა, მაგრამ საიდუმლო მკვლელთან სიახლოვე მაინც თავ-ზარსა ცემდა და წნორის ფოთოლისავით ათრთოლებდა, შაქროს სამარისებური დუმილი ხომ უარესათ თავზარსა ცემდა.

გავიდა ღამე. მთვარემ დიდი ხანია დაივახშმა და ათასის უბედურების მნახველი სადღაც მთის იქით მიიმალა. ქალაქს შავი ნისლი ჩამოაწვა, საშინლათ ჩამობნელდა. დაყრუვდა მიდამოც. მხოლოთ შორს სადღაც გარიხინებულის ეტლის ხმა,

ქუჩის მცველთა ჭყრიალა, ან მატარებლის გუგუნი თუ დაარღვევდა ხოლმე მკვდრულ მდუმარებისა, ბაღში მყოფნიც დიდი ხანია დაიმალნენ. ღვინის ათასში ერთი მოტრფიალე ლა მოჩანდა აქა-იქ და ისინიც თვალ-ამოღამვით, უაზროთ ებუტბუტებოდენ ცარიელ ბოთლებს. ეს ღამეც, როგორც სხვა მრავალი ღამე დანთქმულა დროთა ბრუნვის მორევთი, იძაფებოდა, სულსა ლევდა. ამ ცვლილებას მარტო შაქრო და სანდრო ვერ ამჩნევდენ.

ბოლმით ქცეული შაქრო ხშირ-ხშირათ ივსებდა ჭიქას, სვამდა უსუნთქებლივ და სმენათ გადაქცეულ სანდროს უამბობდა თავის თავგადასავალს.

## V.

მამაჩემი—გეხსომება—ერთი ღვთის გლახაკი კაცი იყო... ანაბანას ძლივს არჩევდა და ყველაზე დიდი ნასწავლი, ჭკვიანი და მოხერხებული ადამიანი ჩვენი სოფლის მწერალი ეგონა, რადგანაც ცოტა ხნის განმავლობაში ორი თუ სამი ვენახი შეიძინა, ქვითკირის კოხტა სახლი აიშენა და უფროსი ქალი დიაკონს მიათხოვა. დედაჩემი ხომ ისე მოკვდა, რომ ჩვენ სოფელს არ გასცილებია. ასე ეკონა ს. ხევთა-შუას იქით ქვეყანა აღარ არსებობსო. პაპაჩემი არ მახსოვს, მხოლოთ ბებია ჩემი მახსოვს კარგათ და არც დამავიწყდება იგი, როგორც ყველაზე უფრო სამართლიანი და გამჭრიახი დედაკაცი... მე რომ სასწავლებელში მიბარება დამიპირეს დედაჩემი თმებს იგლეჯდა, მამაჩემი—იბღვირებოდა, მხოლოთ დიდედა ჩემი ყველას უკიჟინებდა სილაჩრესა, მამხნევებდა და მეუბნებოდა... შვილო ისწავლე, თორემ მეღორეთ დარჩებიო... ეჰ, ნეტავი ისევ მეღორეთ დავრჩენილიყავ... ახლა შენ გკითხავ, რა ცხოვრება უნდა იყოს იმის ცხოვრება, ვისაც უგრძვნია არარაობა და ფუქსავატობა თავისის თავისა, მშობლებისა, ნაცნობებისა... მაგრამ ეს კიდევ არაფერი!.. საქმე ის არის, რომ ადამიანს სიცოცხლე უყვარს. უდროო სიკვდილისათვის ხომ არ არის გაჩენილი!.. სიკვდილი საცა იქნება მოგისწრობს კაცსა... ადამიანის დანიშნულება კი ის არის, რომ თითონაც უმზიროს დიად ბუნებას, მზეს და მთვარეს, დატკბეს ყოველივე სიკეთით.

ჩემდა საუბედუროთ ეს მცნება იმ თავით ამ თავამდის გულში ღრმათა მქონდა დამარხული და გამოვედი თუ არა ცხოვრებაში—მოვინდომე განმეხორციელებინა ეს რწმენა... დავიწყე შინაურებისაგან... შინაურებმა ვერ შემითვისეს... შენ თოთხმეტ-ხუთმეტი წელიწადი იმიტომ შემოგყურებდით, რომ ახლა სარჩო-საბადებელი იშოვნო და დიდკაცურათ გვაცხოვრებდე...

ცხოვრების სინამდვილემ თვალები ამიხილა... ოცნება გამოცდილებათ შემეცვალა; დიდი იმედები გამიცრუვდა... და როგორც მანქანა ავყე წუთი-სოფლის წალმა უკულმა ტრიალსა. მეც, როგორც ათასი სხვა, ვქეიფობდი, ვლხინობდი, ვიცინოდი და დღითი დღე სანაგვეზე გადაგდებულ ტყავის ჯღანივითა ვობდებოდი. მხოლოთ ხანდისხან გამოვერკვევოდი ხოლმე თავ-დავიწყებიდგან და მაშინ კი გული საშინლათ მიკვნესდა, სული მიშფოთდებოდა... სისხლი ყელში მომდიოდა... ცხოველი ხომ არ არის ადამიანი რომ მარტო სვას ჭამოს, დაიძინოს, უსულო ტიკინასავითა სათამაშო საგანი იყოს მთელ თავისს სიცოცხლეში მეთქი გავიფიქრებდი ხოლმე ლა... გავიდა დრო... ბედი თუ გარემოება უარესს განსაცდელს მიმზადებდა..

ეს განსაცდელი იყო ჩემთვის სიყვარული! შემიყვარდა!... გავცოცხლდი, გავიწმინდე სულით გულით და გონებით... ოხ, სიყვარულო, სიყვარულო რამდენი ბედნიერება და რამდენი უბედურება დაგითესია!...

გინახავს როდისმე შესაზარათ ჩამობნელებული, ნისლით შებურული ხევ-ხუვი? არა ყოფილხარ მთაში იმ დროს, როცა განრისხებული ცა საზარლათ გმინავს ხოლმე, როდესაც ბუმბერაზი მთები დაჭრილი მხეცებივით ბუტბუტებენ, მიდამო ძრწის, მდინარენი ნავარდობას ველარა ბედავენ, [illegible] გიჟმაჟნი, მომღერალნი, ამ დროს დაყრუებულნი, [illegible] ბულები მარტო მიბღავიან, მოჰქვითინებენ და ცის ჭექა ქუხილითა თავზარ დაცემულები თვალ ახვეულ ადამიანივით აქეთ იქით აწყდებიან, მირბი-მორბიან მარტო იმისთვის რომ შორს შორს სადმე უფსკრულში ჩაინთქნენ, ოღონც კი მოშორდენ მთა-ბარი და შენცა კვნესი... მაგრამ ამდროს შეწყდა კიდეც წვიმის დროს მთაში ყოფნა, თავზარ-დამცემია ატირებულის, აკვნესებულის ბუნების მზერა... არსით გზა სავალი, არსით სინათლე. ირგვლივ უკუნეთი გამეფებულა და მავნე სულთა ხითხითი დაპატრონებია მიდამოსა... შენ ამ დროს ზიხარ რომელიმე კლდის ქვეშ, მაგრათ დაბღაჭებიხარ მის წამოხრილ ქედს და გულის ღონებით მოელი გამოდარებას... გადაგიწყდა იმედი. ცოტა კიდევ და გაცოფებული ნიავ-ღვარი გამოუთხრის ძირს იმ ლოდს, რომელსაც დაბღაუჭებიხარ... მოგლეჯს შენთან ერთად და სადმე უფსკრულში გადაგისვრის... კვნესის მთა-ბარი და შენცა კვნესი... მაგრამ ამდროს შესწყდა კიდეც წვიმა, ნისლი თან და თან აიკრიფა მთის კალთებიდგან, მდინარეებმა სიცილი დაიწყეს, ახმაურდენ... მთებმა მედიდურათ გადმოხედეს თვის თვალ უწვდენელ სიმაღლიდგან და სველი მხრები შეიბერტყეს... უდაბურმა ტყემ ჩურჩული დაიწყო... მზე გამოვიდა ღრუბლებიდან გადმოხედა ახლათ პირ დაბანილ ტყეს და გაუღიმა... სითბო, სიკეთე, სიამე მოგემატა... გაცოცხლდი კაცი! ამაყურათ მოიღერე შენც კისერი და დიდგულათ შეხედე ცასა. აღარ გეშინიან სიბნელისა... მზეა, მზე ახლა შენი გზის მაჩვენებელი!!

სწორეთ მზესავით ჩამოანათა ჩემ გულში ჩემის მაიკოს თვალებმა... დაბეჩავებული გათახსირებული, სასო მიხდილი მივენდე მაიკოს და მომენდო იგიც, შევიყვარე და შემიყვარა. უცბათ გავიზარდე... ჩემმა მკვნესარე გულმა საიმედოთ დაიწყო ძგერა და ქვეყანამ ჩემ თვალში სულ სხვა ფერი მიიღო.

მარტო აღარ ვიყავ!... და ეს კი დიდი ნუგეშია ადამიანისათვის...

ია ეკალაძე.

---

## საზღვარ-გარეთ.

**გერმანია.** ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ უკანასკნელ ხანებში გერმანიამ კიდევ გაიხსენა 1886 წლები და კვლავ დაუწყო პოლონელებს დევნა და შევიწროება. პოლონელებიც თავის დასაცველათ, რასაკვირველია, ზომებსა ხმარობენ. აი ამის მოსასპობლათ გერმანიის პოლიტიკურ წრეებში თავგამოდებით ეძებენ კანონმდებლობითი საშუალებებს. გარდა კონსერვატიულ ორგანოებისა, რომელნიც მომხრენი არიან ყოველნაირი რეპრესალურ ზომების შემოღებისა, ყველა დანარჩენნი ეწინააღმდეგებიან მთავრობის ამგვარ სურვილს, რადგანაც, ამბობენ ისინი არავითარი გავლენა არ ექნებათ იმ მილიონებს, რომელსაც შეიწირავს საშუალებანი პოლონეთის პროვინციებში პოლონელების გასანემეცებლათ. რომ ეს ასე მოხდება გაზეთებს მოჰყავთ მაგალითი 1886 წლებისა, როდესაც ამგვარივე პროექტები გერმანიის მთავრობას ყინულზე გაუცურდა. კათოლიკეთა დეპუტატებმა უარყვეს პროექტი, ვინაიდან იგი წინააღმდეგია კონსტიტუციისა და ახალ ხარჯს უმატებს სახელმწიფოსა.

**ჩინეთი.** ამას წინეთ ჩვენ ვაცნობეთ მკითხველს, რომ ახალი ხელშეკრულება ინგლისსა და ჩინეთ შორის დიდ პროტესტს გამოიწვევს ევროპის სახელმწიფოების მხრივ, რადგან ამ ხელშეკრულების უაღრესი მუხლი ზღუდავს დანარჩენ სახელმწიფოების პოლიტიკურ და სავაჭრო ინტერესებსა.

როგორც ჩანს ამგვარი პროტესტი უკვე ყოფილა, რადგან ჩი

ნეთს ზემოხსენებულ ხელშეკრულებაში გაუქმებია მუხლი, რომელიც ინგლისის, იაპონიის და გერმანიის სამხედრო ადმინისტრატორებს შეეხება. მაგრამ ის უაღრესი მუხლი კი, რომელიც წინააღმდეგ სხვა სახელმწიფოებისა აბატონებს ჩინეთში ინგლისის კაპიტალს, ხელში უგდებს მარტომას ჩჟილის რკინის გზებს გამოურკვევლათ რჩება ისევ. როგორ მოიქცევა ამის შესახებ ჩინეთი, გააუქმებს ამ მუხლსაც თუ არა არავინ იცის. არ იღებს ხმას ამაზე არც ინგლისი.

ტიან-ძინიდან მოსული ცნობებიდან ჩანს, რომ მეამბოხენი ანადგურებენ პეკინსა და ხანკაუს შუა რკინის გზას. მათ წინააღმდეგ მოქმედებს იანშიკაის ჯარი.

**ინგლისი.** კიტჩენერის დეპეშა 18 მაისიდან: „დღეს, $10\frac{1}{2}$ საათზე ბურების ყველა დელეგატებმა, მილნერმა და მე მოვაწერეთ ხელი იმ დოკუმენტს, რომელშიაც მოყვანილია კაპიტულიაციის პირობები“.

19 მაისს მეფემ მიმართა ხალხს შემდეგი ეპისტოლეთი: „მეფემ განუსაზღვრელი სიამოვნებით მიიღო სასურველი ამბავი ომის მოსპობაზე სამხრეთ აფრიკაში და ამასთან დარწმუნებულია, რომ მშვიდობიანობას მოყვება იმის ახალ სამფლობელოს კეთილდღეობა და რომ ომისგან გამოწვეული საჭიროებით გრძნობანი ალაგს დაუთმობენ საერთო მტკიცე მუშაობას მეფის ყველა ქვეშევრდომთა სამხრეთ აფრიკაში მათის კეთილდღეობის და მათ საზოგადო მამულის დასახმარებლათ.

დილის გაზეთები კმაყოფილებას აცხადებენ მშვიდობიანობის ჩამოგდების გამო. „სტანდარდი“ იხსენიებს ბურებს ყველაზე უმამაცეს ხალხათ, რომელთანაც კი ბრიტანიის ნაციონალურ ჯარებს ასაქმე ჰქონიათ. „მორნინგ პოსტი“ ბედნიერათ სთვლის იმ გარემოებას, რომ გვირგვინის კურთხევა იმ დროს ხდება, როდესაც სახელმწიფო ბევრათ ძლიერია, ვიდრე როდისმე. „დაილ. ნევ.“ მბობს, რომ ბრიტანიის ხალხმა უნდა აღადგინოს თანხმობა და კეთილდღეობა აოხრებულ მხარეში და დაანახვოს ბურებს, რომ ინგლის შეუძლიან ისეთივე გამარჯვება უჩვენოს მშვიდობიანობაში, როგორათაც ომში. „დაილ ტელეგრაფი“ აღნიშნავს სიამოვნებით, რომ საქმე უფრო გვიან არ გათავდა. შიში, რომელიც ინგლისს მოელოდა, მომაკვდინებელი შიში იყო.

პალატა ქანდარა გაჭედილია ხალხით. ბროდრიკს და ჩემბერლენს მიეგებენ დიდის აღტაცებით. ბალფურმა წაიკითხა ბურთა თანხმობა ჯარის დამორჩილებაზე. პირველი მუხლით ბრძოლის ველზე მყოფი ბურები დაუყოვნებლივ დაჰყრიან იარაღს და უარს განაცხადებენ ბრძოლაზე, წინააღმდეგ მეფე ედუარდ მე-VII-ისა, რომელსაც კანონიერ მეფეთ აღიარებენ; მეორე მუხლი ბურებს, რომელნიც ტრანსვაალსა და ორანჟეს გარეთ არიან და ყველა ტყვეებს სამხრეთ-აფრიკის გარეთ მყოფთ, აღიარებენ თუ არა თავიანთ თავს მეფის ქვეშევრდომათ, დააბრუნებენ სამშობლოში, როგორც კი მოაწყობენ იმათ გადაყვანის საქმეს; მესამე მუხლი: დაბრუნებულნი სრულიათ თავისუფალნი იქნებიან როგორც თვითონ, აგრეთვე მათ ქონება. (ამ მუხლმა გამოიწვია ოპოზიციის მოწონება). მეოთხე: ამ რიგათ დაბრუნებულნი არ მიეცემიან არც სისხლის და არც სამოქალაქო სამართალში ომით გამოწვეულ მოქმედებისათვის.

თუ მშობლები მოისურვებენ, ჰოლანდიის ენას ასწავლიან საზოგადო სკოლებში ტრანსვაალში და ორანჟეს კოლონიაში; იმავე ენაზე აწარმოებენ სამართალს სამოსამართლოებში, თუ ამას მოითხოვს საქმის წარმოების გაუკეთესება. ტრანსვაალში და ორანჟეს კოლონიაში იარაღის ტარების ნება მიეცემათ მხოლოთ იმ პირთა, რომლებისათვისაც ეს საჭირო იქნება დასაცავათ თავიანთ თავისა და თუ მიიღებენ ამის შესახებ შესაფერ ნებართვას. სამხედრო მართვა, რაც შეიძლება მალე უნდა შეიცვალოს სამოქალაქო მართვაზე და როდესაც კი მოხერხებულათ იცნობენ, შემოღებული უნდა იყოს წარმომადგენელთა მართველობანი.

კითხვა იმას შესახებ, მიეცეს თუ არა მკვიდრთ ამომრჩეველთა უფლებანი, გადაწყვეტილი იქნება შემდეგ თვით-მმართველობის შემოღებისა. განსაკუთრებით ხარჯს არ შემოიღებენ. ყოველ ოლქში დაინიშნება კომისია, რომელთა კრებებზე მიიღებენ მონაწილეობას ოლქის მცხოვრებნი; სამშობლო ადგილებში [illegible]ლებლათ და დაბრუნების მსურველთ დასახმარებლათ, ინგლისის მთავრობა მიცემს კომისიას 3 მილიონ გირვანქას. მთავრობა უარს არ იტყვის დახმარება აღმოუჩინოს სესხითაც ორი წლის ვადით, ზემოთ აღნიშნულ საგნისათვისვე იმ ფულიდამ, რომელიც თავისუფალი იქნება ხარჯს გარდა. ამ მუხლებით სარგებლობის ნება არ მიეცემათ არც უცხოელთ და არც მეამბოხეთ (დიდი მოწონების ხმაა სამინისტროს დასისა).

ბალფურმა გამოაცხადა, რომ კიდევ საყურადღებო მუხლებია, რომლებიც არ არის შეტანილი კვირის ხელმოწერილ საბუთში.

რაკი ბურების წარმომადგენელთ ჩააბარეს პირი ხელშეკრულობისა, მილნერმა წაუკითხა განცხადება, რომლის ძალით კაპის და ნატალის მეამბოხეთ გაასამართლებენ კოლონიების ადგილობრივ კანონებით; კაპის მეამბოხენი თუ უბრალო ჯარის კაცები არიან, უნდა დაისაჯნენ არჩევნების უფლებათა ჩამორთმევით.

ბალფური განაგრძობს. ხელშეკრულობაზე ხელი უწერიათ ინგლისის მთავრობის სახელით კიტჩენერს და მილნერს, ორანჟის მთავრობის სახელით—შტეინს, დევეტს, ოლივიეს და ჰერცოგს; ტრანსვაალის სახელით შალკ-ბურგერს, რეიცს, ლუიბოტას და დელარეის. ბალფურის შემდეგ ლაპარაკობს კემბელ-ბანნერმანი; აცხადებს, რომ მანამ ბალფური არ წარმოადგენს დოკუმენტებს არას შენიშნავს და ამას უმატებს, რომ მალე იშუამდგომლებს პალატის წინაშე გამოეცხადოს მადლობა კიტჩენერს და ლაშქარს.

**ანტილის კუნძულები.** კუნძულ სენ-პარტინიკის ყოველმხრიდან მორბის ხალხი ფორტ-დე-ფრანსში და თხოულობს კუნძულიდან წაყვანას, რადგან დარწმუნებულია, რომ მთელი კუნძული დაიღუპება. კონსულებსა და გემების უფროსებს მოსვენება არა აქვთ მთხოვნელებისაგან.

ამინდი ეხლა მშვენიერია, ცა უღრუბლო, არ არის ნიშანი, რომ ატასტროფა განმეორდეს, მაგრამ ხან და ხან კიდევ ისმის გუგუნი და ვოლკანს გარს არტყია სქელი ღრუბლები.

6 (22) მაისს სამხედრო გემ „ვიქსი“-თ რამდენიმე მეცნიერი მოვიდა. გემმა მოიტანა დიდძალი სანოვაგე, მაგრამ მდიდარიც და ღარიბიც იმას გაიძახის, რომ არ გვინდა საჭმელი, წაგვიყვანეთ აქედანო. გაქცევის სურვილი ყველას იდე-ფიქსათ აქვს გადაქცეული, სხვა აღარა ახსოვთ რა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ვოლკანმა ხელმეორეთ იფეთქა საშინელის ძლიერებით.

ქალაქი სენ-პიერი, თითქოს დაეფქვას ვისმე: იგი ნაცრის და ფერფლის გროვებს წარმოადგენს. თუ რამდენათ ძლიერი იყო ვოლკანის მეორე მოქმედება, ჩანს იქიდან, რომ საკათედრო ტაძრის მაღალი კოშკები ბაზალტისა სულ მტვრათ არის ქცეული. ყველაფერი ამტკიცებს, რომ აქ გაუვლია საშინელის სიძლიერით ცეცხლ მოკიდებულ ჰაზს. სენ-პიერში ნამყოფ გემების უფროსების სიტყვით ქალაქი გავს ეხლა რაღაც უცნაურ ამფითეატრს, რომლის ზემოთ თითქმის გაუწყვეტელი გამანადგურებელი ქარიშხალი ქრის. გახურებული ტალახი ჯერაც მოდის ვოლკანიდან და ზღვას ერთვის.

აქ მოსულ მეცნიერებს განზრახვა აქვთ ადგილობრივ გამოიკვლიონ, თუ რამდენათ საშიშია ფორტ-დე-ფრანსის მდგომარეობა.

მარტინიკის ახლათ არჩეული დეპუტატი კლერკი არ დაღუპულა, როგორც ამას აქამდე ფიქრობდენ. კატასტროფის შემდეგ კლერკი და ერთი ინჟენერი ვოლკანიურ მთების დასათვალიერებლათ წასულან და 1.233 მეტრის სიმაღლემდე ასულან. აქედან მათ დაუნახავთ, რომ კრატერის დიამეტრი სამ მეტრზე ნაკლები არ იქნება.

სე-მარტინიკის უმაღლესი ადგილი მორნ-ლაკრუა ყოფილა; ეხლა შიშობენ, რომ ეს მაღლობი ჩაინგრევა, რადგან ძირში ვოლკანიური მოქმედება არის თურმე.

კლერკი ამბობს, რომ მთაზე ასვლის დროს იგი რამდენჯერმე შეარყია ელექტრონულმა ძალამ; მიწა ისე გახურებული ყოფილა, რომ

ფეხსაცმელი დადრეკილა. პორნ-ლაკრუას ახლო მდებარე ტბა სრულებით დაშრალა.

კატერის პირი მეტათ გამოცვლილია და მთელ მთას შემაძრწუნებელი შეხედულება აქვს. ნიადაგი დაფარულია გოგირდის დიდი ნატეხებით. ელექტრონით გაჟღენთილმა ჰაერმა უკან გამოაბრუნა კლერკი და მისი თანამგზავრნი; ძირს ჩამოსვლა უფრო გაუჭირდათ თურმე, ვიდრე ზევით ასვლა, მგზავრებს ნატრით ევსებოდათ თვალები.

**ბელგია.** შემდეგ არჩევნებზედაც ისევ კლერიკალებმა გაიმარჯვეს. კლერიკალ-დეპუტატების რიცხვი არის 96. ლიბერალები ახალ პალატაში შევლენ 34 რიცხვით, ამდენივე წარმომადგენელი ეყოლებათ სოციალისტებს, ასე რომ მთავრობას უმეტესობა ეყოლება 26 ხმით. ოპოზიციის წრეებში ცხადათ ლაპარაკობენ, რომ მთავრობამ არჩევნებზე ძალდატანება იხმარა და სიყალბე ჩაიდინა მეტადრე სასოფლო ოლქებშიო. ბელგიის სენატში იქნება 62 კატოლიკი, 41 პროგრესისტ-ლიბერალი და 6 სოციალისტი, მთავრობას უმრავლესობა ეყოლება 15 ხმით, ე. ი 1 ხმით მეტი ვიდრე წინეთ.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

წარსულ ნომერში ჩვენ ვაუწყეთ მკითხველებს, რომ მთავრობამ გადაწყვიტა დაარსოს სახელოსნოების კურსები მუშათათვის. ამ საგნის შესახებ „ფინანსთა უწყებაში“ დაბეჭდილია საყურადღებო წერილი:

„მუშების და ხელოსნების გონებით განვითარება, აგრეთვე მათი სპეციალურათ მომზადება, უკვე თვალსაჩინო საჭიროებას შეადგენს. ჩვენშიაც მრეწველობა დიდი ხანია გაცდა ძველ გზას და თვის განსავითარებლათ დღეს ხმარობს ტეხნიკის გაუმჯობესებულ საშუალებებს, ამისთვის კი საჭიროა არამც თუ მოსაქმე ხელი, არამედ მოსაზრებული მუშაობაც. ქარხნის უანგარიშო პატრონებს გონიათ, რომ რამდენათაც ნაკლებათ დაიქირავებენ მუშას, იმდენათ მეტი მოგება რჩებათ. მაგრამ ეს ასე არ არის, რადგან იაფ ფასათ, შედარებით რასაკვირველია, მუშაობს უცოდინარი განუვითარებელი მუშა და ის ზარალი კი არ მოდის ანგარიშში, რომელიც ამისთანა უცოდინარ მუშას მოაქვს მისთვის. ეს კი საერთოთ დიდ ჯამს შეადგენს, ასე რომ ეს ზარალი ბევრით აღემატება იმ ხარჯს, რომელიც დაჭირდება კურსებისა და სახელოსნოების შენახვას. ამიტომ უკეთესია ეს ფული მოხმარდეს მუშების თანდათანობითი მომზადებას, ვიდრე მათი უცოდინარობის გამო მუშაობის დროს დასახიჩრებას, მაშინების დაზიანებას და სხვა. ეჭვი არ არის, რომ ჩვენ მექარხნეთა შორისაც მოიპოვებიან ისეთი პირნი, რომელთაც ესმით მომზადებული მუშ ს სარგებლობა, თუნდაც მისი შრომა შედარებით უფრო მეტი დაუჯდეთ. ბევრი მათგანი მზათ იყო ეხმარა საშუალება ამ საქმის გამოსაკარგებლათ, მაგრამ დღემდე ამისთვის შესაფერი დაწესებულებანი არ იყო. ახალი კანონი ტეხნიკურ და სამრეწველო სახელოსნოების დაარსების შესახებ აძლევს საშუალებას ჩვენს მრეწველობას დაადგეს განვითარების გზას, იმ მხრით, რა მხრითაც დღემდე ის სუსტი იყო.

მუშათა გონებით განვითარება ასწევს არამც თუ მრეწველობას, არამედ ის დიდ გავლენას იქონიებს თვით მუშებზედაც. მომზადებული და განვითარებული მუშა, ამბობს იგივე გაზეთი, უფრო მეტ ხელფასს იღებს, რასაკვირველია, უფრო უკეთესათ შეუძლია მოაწყოს თავისი ცხოვრება. ინგლისელი ფეიქარი მუშები ორჯელ მეტ ხელფასს იღებენ, ვიდრე რუსეთისა, ამასთანავე კი ინგლისელ მექარხნეს $1^1/_2$ ნაკლები ეხარჯება სამუშაო ხელფასზე, ვიდრე ჩვენსას, რადგან ინგლისის ფეიქარი უფრო მეტს აკეთებს, ვიდრე ჩვენებური. მიუმატოთ ამას ისიც, რომ იქ ქარხნებში უფრო ნაკლები ხარჯი უნდებათ ქარხანაში მეთვალყურეებზე და საქმის მართვაზე და აშკარათ დავინახავთ ინგლისელი ქარხნები რათ ამზადებენ გაცილებით უფრო უკეთესს და იაფფასიან საქონელს. აშკარაა, ისიც საზღვარ-გარეთის ყველა სახელმწიფოები დღეს თავგამოდებით [illegible] შედგომიან მუშათა შორის განათლების და განვითარების გავრცელებას.

## სოფელ კუხში მომხთარ მეაბრეშუმეთა კრების გამო.

როგორც „კვალის“ მკითხველებს მოხსენდებათ, 5 მაისს შედგა კრება სოფელ კუხში ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობისა. ამ კრებამაც წინანდულათ ჩაიარა და ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა, თუ როგორ სასაცილოთ და სამასხროთ აგდებენ მეაბრეშუმეებს, მათ ინტერესებს და თვით იმ საშპატიურ საქმეს, რასაც ეწოდება „ამხანაგობა“. გამოირკვა და ყველასათვის თვალსაჩენი შეიქნა, რომ ქართველებთა შორის არც ერთი „ამხანაგობა“ ვერ იხეირებს და თავის ნამდვილ მიზანს ვერ მიაღწევს, რადგანაც ჩვენ თურმე ამხანაგობას მისთვის ვაარსებთ, რომ მოვიპოვოთ მისი წყალობით მსუქანი ლუკმა და თბილი ბინა, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ თავათ იმ საქმისათვის მოუმზადებელი ვართ და თუ კაცი იმისთანა საქმეს კიდებს ხელს და საზოგადოებასაც არწმუნებს, რომ საქმეს კარგათ წავიყვანო და ამ საქმის არაფერი იცის, ეს ხომ მოტყუილებას ნიშნავს?

აი, სწორეთ ასე მოიქცა ჩვენი „ამხანაგობის“ გამგეობა, სარევიზიო კომისია და ჩვენი ნასწავლი ახალგაზდობაც. სარევიზიო კომისიაზე მე ამ წერილში არაფერს ვიტყვი, რადგანაც ბ. იოსებ კაკაბაძემ უჩვენოთაც დაუმტკიცა მათ თავიანთი უვიცობა და უცოდინარობა (იხ. „კვალი“ № 20) რომელი საქმეც მათ უკისრიათ საზოგადოების წინაშე და ასეა, თუ ისე (დასტურ საქმის არაფერი გაეგებოდათ, თუ მართველის ხათრი ქონდათ და იმისთვის არაფერს ამხელდენ ამხანაგობის საქმეზე) იმათ ეს საქმე ვერ შეუსრულებიათ, როგორც ეკუთვნოდათ ნასწავლ ვაჟკაცებს, როგორიცაა ორი დოკტორი, ერთი ბლაღოჩინი-მღვდელი და სხვები, რაშიდაც ჩვენი შეხედულობით თავათაც დარწმუნდენ და „ამხანაგობას“ გაშორდენ კიდეც.

ჩვენ გვსურს ამ წერილში მკითხველის ყურადღება მივაქციოთ „ამხანაგობის“ გამგეობას და ჩვენ ნასწავლ ახალგაზდობა, რომლებიც დაესწრენ ამ კრებას და ცთილობდენ, რამეფრათ გვერდი აეხვიათ იმ ნამდვილ კითხვებისათვის, რომლებიც პასუხს, ახსნას თხოულობდა და საინტერესო იყო, როგორც საქმისათვის, ისე უმრავლესობისათვისაც. ჩვენ კი გვეგონა, რომ ახალგაზდობა შესაფერ დახმარებას აღმოუჩენდა ჩვენ უსწავლელ მეაბრეშუმეებს: ან როგორ მოვიფიქრებდით, რომ ისინი თავათ ხელს შეუშლიდენ! ეს ხომ ბუნების კანონს ეწინააღმდეგება, რომ ახალგაზდობა სიმართლეს გაურბოდეს? მე რომ ჩემი თვალით არ მენახა და ჩემი ყურით არ მსმენოდა, ამას არავის არ დაუჯერებდი... რისთვის მოიქცენ ასე? მისთვის რომ ბ. ნესტორ წერეთელს ასე სურდა! იქნებ ნ. წერეთელი და ახალგაზდობა მართალი იყოს და ჩვენ გვსურს მათ ჩირქი მოვცხოთ, გავსვაროთ. ღმერთმა დაგვიფაროს მაგისთანა ცოდვებისაგან! ჩვენ თავათ მოხარული ვიქნებოდით, რომ ნ. წერეთელი მართალი იყოს. მაგრამ როგორ დავიჯეროთ მისი სიმართლე, როდესაც იმდენი ადამიანი—მეაბრეშუმე ქალი და კაცი გულდათუთქული და თვალცრემლიანი დაბრუნდენ თავიანთ ოჯახში ისე, რომ კრების დასრულებისათვისაც არ მოუცდიათ.—ერთი წლის ნაშრომი ხომ ამ კაცებმა შეგვიჭამეს, დროზე სახლში წავიდეთ, რომ ოჯახიც სხვამ არ წაგვართვასო“...

განვიხილოთ ეს კითხვა, რა საკითხი იყო იმისთანა, რომ ნ. წერეთელი თავის პარტიით იმის წაქცევას ცთილობდა და მეაბრეშუმები კი-მისი წამოყენებას. დიახ, ეს შეტაკება გაგრძელდა ერთ საათზე მეტს და ბოლოს წერეთელმა და მისმა პარტიამ აჯობა, სიმართლეს სიცრუემ ძლია, რაც ჩირქსა ცხებს არა მარტო წერეთელს და იმ უმსწვილებს, არამედ მთელ ამხანაგობას. ეს არა სახუ-

მრთ კითხვა გახლავთ: რამდენი წაგო „ამხანაგობამ“ ნამდვილათ 4931 მ., თუ 23187 მანათზე კიდევ მეტი ან ნაკლები? ან საიდან დაიბადა ამდენი ზარალი, რომელ ჰარკმა წაგებია ამხანაგობას? იმ ჰარკმა, რომელიც ჩვენ მივაბარეთ გასყიდათ, თუ რომელიც თავათ ამხანაგობამ იყიდა გადაჭრილ ფასათ ფუთი 14, 15 და 16 მანეთათ და ამაზე მეტი ფასი კიდევ ჩარჩებს რომ მიცაო! იქნებ ყველამ წაგოვო, რისთვის ყველა ჩვენ უნდა ვიზარალოთ? უკეთესი არ იქნება, რომელ ჰარკსაც რამდენი წაუგია, მან და მისმა ჰატრონმა იზღოს ჩვენი რა ბრალია, რომ ამხანაგობას არ ყავდეს საქმის მცოდნე მართველიო და ის აგებდეს? ჩვენ ხომ დაგვპირდა მაშინ ბ. ნესტორ წერეთელი, რომ ვინც ჰარკს მოგვიტანს, იგინი ყოველ შემთხვევაში ორ-სამ მანათს მეტს მიიღებენო? ნუ თუ მოგვატყუილა და ახლა 6-7 მანეთის მაგიერათ ერთი მანეთი უნდა გადმოგვიგდოსო?... ამას ხომ მოტყუება ეწოდება... ამას ანგარიში არ ქვია... არ დავამტკიცოთ ანგარიში, ვიდრე ჰატიოსნათ არ გაგვისწორდება, ისე ჰატიოსნათ, როგორც ჩვენი ნათვლარი ჩავაბარეთ, რომლის გაყიდვა მაშინ ყველგან შეგვეძლო 15-16 მანეთათო!...

ახლა ვიკითხოთ, როდესაც ამხანაგობის მართველი 15-16 მანეთს არა ამხანაგს აძლევდა და ჩარჩებს კიდევ მეტს ნაღდათ, იმ დროს რას ეუბნებოდა იმ ამხანაგს, რომელსაც 10 მან. ავანსით ფუთ ჰარკს ატოვებიებდა? ეუბნებოდა მათ თუ არა, თქვენ კიდევ 16 მანეთზე მეტს მიიღებთო?—იქნებ მეაბრეშუმეები ტყუიან და ის არ დაჰპირებია მათ? მაშ, დაუგდოთ ყური თვით ნესტორ წერეთლის სიტყვას:—„ასე რომ არ მეთქვა, ჰარკს არავინ მომიტანდაო“. ეს ხომ მართველის სიტყვებია, რომლითაც დასცინის კიდევაც მეაბრეშუმეებს: რა კარგათ და მოხერხებულათ მოგატყუეთო!... აქედან ჩანს, რომ ამხანაგობის მართველი ნამდვილათ დაჰპირებია მეაბრეშუმეებს ზედ მეტის მიცემას, რაზეც კაი ხანს ედავა ივ. გომართელი და კიდევ სხვები ნ. წერეთელს, მერე როგორ შეუსრულა ნ. წერეთელმა ეს დაჰპირება იმ ჰატიოსან შრომელებს? დაცინვით, დატყუილებით და ისიც არ მიცენ ჰარკის მომტან ამხანაგებს, რა ფასშიდაც მისი ჰარკი (14) გაიყიდა საზღვარ გარეთ... ეს უკანასკნელი ფასი ხომ მაინც ერგება მეაბრეშუმეებს. რის წართმევაც ნიშნავს იურიდიულათ სხვისი საკუთრების მითვისებას, რისთვისაც შეუძლიათ ჰარკის მომტანლებს დამნაშავეს სკამზე წამოასკუპონ მისი ჩამდენი. თუმცადა ამხანაგობა ვალდებულია 14 მანეთზე მეტი მიცეს ავანსით ჰარკის მომტანლებს, მაგრამ ზნეობრიობას თავი დავანებოთ და იურიდიულ სიმართლეს მაინც ნუ დაუკარგავთ იმ ჰატიოსან ამხანაგებს, რომლებიც ჩვენს „ამხანაგობაში“ ჰატიოსნათ ასრულებენ თავის ვალდებულებას და ბევრ მათგანს სხვისი ჰარკიც მოაქვს ამხანაგობაში, რისთვისაც ის ვალდებულია არსებულ მაზანდაზე გაუსწორდეს სხვებს ან მოგებით მიცეს; და, თუ იგინი, ასე გულნატკენი დავტოვეთ, ეს ნიშნავს ახლო მომავალში ამხანაგობის დახურვას კიდევ მეტი ზარალით, რადგანაც ამხანაგობა იმათი იმედით და იმათივე ნაშრომით საზრდოებს.

სასაცილოა, სატირალი რომ არიყოს, ჩვენი „ამხანაგობის საქმე... რას ფიქრობდა ნ. წერეთელი მაშინ, როცა ასე აწეულ ფასებში ყიდულობდა ჰარკს, ან როცა უკანასკნელათ ჩარჩისაგან ყიდულობდა ხმელ ჰარკს ფუთს 53 მანეთათ იმ დროს, როცა ცნობები მოდიოდა, რომ საზღვარ-გარეთ ფასები კლებულობსო, ფიქრობდა ნუტავ მოგება-წაგებაზე? დარწმუნებული ვართ იმაში, რომ მაგისთანა მართველისათვის სულ ერთი იყო—მოგებაც და წაგებაც, რადგანაც კარგათ იცოდა: თავის ჯამაგირს, კარგათ მოზრდილ სახარჯოს, თავისუფალ დროს სასეირნოთ ევროპაში ამხანაგობისაგან მიიღებდა... და ბოლოს, თუ მაინც წააგებდა ასე ნაყიდ საქონელში, ამას „შემთხვევას“ დააბრალებდა, კრებას კი შემდეგ წლისათვის გადადებდა. (ქოთანს მექოთნე უყრს, საითაც ინდა, იქით გამოამბამს) კრების შემდეგ კიდევ იმდენს ეცდებოდა, რომ იმავე ჯამაგირში დარჩენილიყო, რაც კიდევაც მოახერხა. აი, კაცობაც ამას ქვია! მოხერხებაც ასე უნდა, ნამდვილ ამხანაგობის უმრავლესობა გემდუროდეს და [illegible] კიდევ უვნებლათ იდგე წინანდელ ჰოზიციაზე! სოფელი ვნახე უძაღლო და შიგ გავიარე უჯოხოვო, რომ იტყვიან [illegible] თუ ეს ასე არაა, მაშ როგორაა? ვეკითხებით წერე[illegible] და თავათ წერეთელს.—მითხარით, ის ამხანაგი რა დანაშაულია, რომ მისი კისრიდან გინდათ მთელი ზარალი აიღოთ? იმისთვის სჯით, რომ ამხანაგობას ენდო და ჰარკი მიაბარა? ნათქვამია: „მიბარებული მგელმა შეინახაო“... მერე როგორ ამხანაგს ართმევთ ჰარკის იმ ნაფასურს, რაც საზღვარ-გარეთ აიღეთ მის ჰარკში, რომელიც გაჭმევთ, გასმევთ და თფილისს გაძღევთ!... ახლა ეს გვითხრას ბ. ნ. წერეთელმა: ვინ შეეხვეწა ერთ და იმავე დროს სამ ნაირი ოპერაცია მოეხდინა ჰარკის ვაჭრობაში ავანსითაც მიეღო, გადაჭრილ ფასათაც ეყიდა და ჰარტიობით ჩარჩებისათვისაც გამოერთმია? შესაძლებელია (1899) წინანდელ კრებამ დაავალა მას? მაშინ მთელი ზარალი რაც გადაჭრილ ფასათ ნაყიდი ჰარკისაგან მოუვიდა „ამხანაგობას“. ყველა ამხანაგებმა უნდა იზარალოს და თანაც მაშინ არსებულ მაზანდაზე გასწორებოდა ამხანაგობა ავანსათ ჰარკის მომტანს? ეგებ ის თქვას წერეთელმა, რომ კრებას მისთვის არ დაუვალებია იმ წელიწადს ერთ და იმავე დროს გადაჭრილ ფასათაც ეყიდა, ავანსითაც მიეღო და თანაც ჩარჩებისათვისაც გაესაღებია? (გასაღებას ვუწოდებთ, რადგანაც თვით იმ დროს ფასი დაწეული გახლდათ ჰარკის) ეს თუ ასეა, მაშინ დამნაშავეს სკამზე თავათ ჯდება. რაც შეეხება ავანსათ ჰარკის მომტანლებს, მათ ამხანაგობამ უნდა გაუწორდეს იმ ფასში მაინც, რა ფასშიაც მისი ჰარკი (14) საზღვარ გარეთ გაყიდულა და წერეთელს ჰასუხი უნდა მოთხოვოს იმ ზარალისათვის, რა ზარალიც მან უჩვენა ამხანაგობას, მით რომ წინანდელ კრების დადგენილებას გადამორდა... დასტურაც, რა იმ საწყალი ამხანაგის ბრალია, ვისაც ჰარკი დაუტოვებია ჩვეულებრივათ, რომ ამხანაგობას არ ყავდეს საქმის მცოდნე მართველი, რომელსაც იმის გაგებაც არა აქვს, რას ნიშნავს კრება და მისი დადგენილობა? სადაური საქმის მცოდნე უნდა იყოს ის მართველი, რომელიც თესლის ვაჭრობაშიაც აგებს, ჰარკის გადარჩევაშიაც, აბრეშუმის აღებ-მიცემობაშიაც, სამართველო ხარჯებშიაც და საზღვარ-გარეთ მოგზაურობაშიაც 1779 მანეთს ხარჯავდეს 400-500 მანეთის მაგივრათ? ეს 1779 მანეთი იმისთანა დიდ ფულათ მიგვაჩნია ჩვენ, მარტო მაგოდენა ფულის იმედით მარსელში სავაჭროთ წასვლა შეიძლებოდა... ახლა განვიხილოთ თვით „ანგარიში 1900 წლისათვის“ ამავე მართველისაგან შედგენილი. მიუხედავათ იმისა, რომ ქაღალდი არ დაუზოგავს (9×14) და 22 გვერდისაგან შედგება, ისეა არეული, რომ სად დასაწყისია და სად ბოლო, ეშმაკმა უწყის. აი, ცოდნაც ამას ეწოდება და დაზოგვაც საზოგადოების ქონებისა!..,

მიუხედავათ იმისა, რომ ვაჭრობის ცოდნა არ აქვს, მოხერხება კი ძლიერი აქვს ჰოზიცია არვის დაუთმოს, ამხანაგობა არავინ წაართვას, უკეთესათ რომ ვთქვათ: 23187 მანეთი წაგებია იმ ამხანაგობას, რომლის თანხაც შეადგენდა იმ დროს 23859 მ. 82 კ. რომლიდანაც 18129 მ. 77 კ. იმ მეაბრეშუმე ამხანაგთ ეკუთვნის, რომლებსაც სიტყვის თქმის ნებას არ აძლევდენ და კანონიერი ნგარიშიც არ მიცენ იმ საწყლებს. აი, ამას ვუწოდებთ ჩვენ ძალამომრეობას და დაბრიყვებას... რისთვის ჩაიდინა ეს ბ. ნ. წერეთელმა თავის ჰარტიით, რისთვის ეუბნებოდენ ჰატივცემულ თავმჯდომარეს, რომ „ანგარიში დამტკიცებულათ ცანითო“, როდესაც მათი ანგარიშის მიღება არავის არ სურდა! დიახ; ანგარიშის დამტკიცება სურდა წერეთლის მომხრეებს, რომლებსაც „ნასწავლებათ“ მოაქვთ თავი და რომლებიც რიცხვით ცოტა იყო ამ კრებაზე, მაგრამ ევროპიულ ტანისამოს იმისოან გავლენა აქვს, რომ სოფლელებს აშინებს: გლახა არაფერი წამომცთეს მათ წინაშეო, თუმცადა კი გრძნობს, საქმე რაშია... არ შემიძლია არ შევნიშნო, რომ წერეთლის სურვილს თავათ დარბაისელი თავმჯდომარე აღუდგა წინ: უმთავრესობას სურს, ჯერ ჰარკის ფასებში დააკმაყოფილოთ და მერე დაამტკიცებენ ანგარიშსო... იგენი სხვის ფეხის ხმას მიყობა,

თორემ თავათ სადა აქვთ ანგარიშის გაგებათ!—ამას ეუბნებოდენ და ამით არწმუნებდენ პატივცემულ თავმჯდომარეს, რომელსაც რამოდენჯერმე ადუღდა წინ. მაგრამ ბოლოს მაინც დაარწმუნეს თავმჯდომარე და ანგარიში დაამტკიცებინეს, რითაც პატივცემული თავმჯდომარე უმრავლესობის თვალში დაამცირეს წერეთელმა და მისმა პარტიამ, თუმცა მას ერიდებოდა დარბაისელი თავმჯდომარე... რისთვის ჩაიდინა წერეთელმა ამისანა საქმე? ეს იმისთვის, ერთ ან ორ წელიწადს კიდევ თავი უზრუნველათ შეინახოს ამხანაგობაში. მერე მარაც რომ არ უნდოდეს ამხანაგობას მოშორდეს, ამხანაგობა თავათ მოშორდეს წერეთელს და წიაღსა შინა აბრაამისასა განისვენებს, რადგანა, დარწმუნებული ვართ, რომ ასე დაუზოგველათ საქმის წარმოება და მეაბრეშუმეების მოტყუება არაფერ კარგს არ მოუტანს ამხანაგობას. ის პირები, რომლებიც აარსებენ ამხანაგობას, იმ აზრით, რომ თბილი თავშესაფარი მოიპოვონ და თანაც საქმის არაფერი გაეგებათ, საზიზღარია ჩვენთვის და ჩარჩებზე დაბლა დგას ჩვენს თვალში...

დასჯილი

---

## მთავრობის განკარგულება.

უმაღლესი ბრძანება უმართებელეს სენატს.

პოლტავის და ხარკოვის გუბერნიებში უკანასკნელ დროებში მომხდარი უწესოების დროს ხშირათ მეამბოხე გლეხები თავს ესხმებოდენ ადგილობრივ მემამულეთ და დიდ ზარალს აძლევდენ.

ვაკისრებ რა ამ ზარალს არა თუ მარტო მეამბოხეთ, არამედ სოფლის საზოგადოებასაც, რომელ საზოგადოებასაც ეკუთვნოდენ მეამბოხე პირნი, და რომელთაც დანაშაულობა მიუძღვით იმაში, რომ არ აკავებდენ მეამბოხეთ, ჩვენ გიბძანებთ:

1) გადადოთ სახელმწიფო ხაზინიდან სათადარიგო ხარჯთ-აღრიცხვის ზედმეტათ, მოულოდნელ ხარჯთა განყოფილებაში 1902 წლისა 800.000 მანეთი კონსტანტინოგრადის, პოლტავის, ვოლკოვსკის და ბოგოდუხოვსკის მაზრების დაზარალებულ მიწათმფლობელთა დასაჯილდოებლათ.

2) ზარალის ცნობაში მოყვანა, ფულის განაწილება, თანხის და ზარალის ვარაუდით მიენდოს დროებითი კომისიებს პოლტავისა და ხარკოვის გუბერნატორების თავმჯდომარეობით, აგრეთვე მიიღებენ მონაწილეობას გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლნი და ადგილობრივ ფინანსიურ და გლეხთა უწყების თანამდებობის პირნი.

3) მიენდოს ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრებს ერთიერთთან შეთანხმებით დააწესრიგონ კომისიის შედგენა, წესი მისი ოქმედებისა და ამ საგნის შესახებ თვისი მოსაზრებანი წარმოადგინონ მინისტრთა კომიტეტის საშუალებით ჩვენ მიერ დასამტკიცებლათ.

და 4) სახელმწიფო ხაზინის ხარჯის აღსადგენათ, რომელიც ნაჩვენებია 1 მუხლში სოფლებს და სოფლის საზოგადოებას, რომელნიც იღებდენ მონაწილეობას ამბოხებაში დაედვას დამატებითი ხარჯი აწ არსებულ გადასახადზე, იმ გვარათ, რომ ვადა და რაოდენობა ამ გადასახადისა გაწერილი იქნას 2 მუხლში ნაჩვენები წესით და ამ ზედმეტი გადასახადის აკრეფა დაიწყოს სხვა გადასახადებთან ერთათ არა უგვიანეს ამ წლის მეორე ნახევრისა.

უმართებელესი სენატი არ დატოვებს ამის აღსრულებაში მოსაყვანათ სათანადო განკარგულებას.

ნამდვილს მოწერილი აქვს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის საკუთარი ხელით:

„ნიკოლოზი".

ცარსკოე სელოში.
11 მაისს 1902 წელს.

---

## რუსეთის ცხოვრება.

ეკატერინოსლავის გუბერნატორის განკარგულებით ეკატერინოსლავის გუბერნიის სოფლებსა და მადაროებთან მცხოვრებ ებრაელებს პოლიციამ ხელწერილი ჩამოართვა, რომ პირველ მაისისათვის აქრაღ იქნენ. როგორც „Полт. Рѣч"-ი წერს, ებრაელების გასახლება გადაუდვიათ ახალ განკარგულებამდე.

— სარატოვში ერობას წიგნების საწყობი აქვს. წიგნების საწყობს დაუჭერია ცალკე კაცი და დაუვალებია მისთვის უიდოს სახალხო საკითხავათ გამოსადეგი წიგნები იარმუკაზე, ბაზარ-ადგილას, ტრაქტირებში და, ერთი სიტყვით, ყველგან, სადაც კი იმედი რამ იქნება, რომ ხალხი შეიძენს წიგნაკებს.

— პეტერბურგში მომავალ შემოდგომიდან იხსნება პოლიტეხნიკური ინსტიტუტი. ინსტიტუტში მიიღება 1655 კაცი უეგზამენოთ.

— გაზ. „ვოლინი" წერს, რომ ვოლინის მაზრაში არის პირველდაწყებითი სასწავლებელი, სადაც მასწავლებელი იღებს წელიწადში 6 მანეთს.

ფასი ძლიერ შეფერებული ყოფილა მასწავლებელთან შედარებით, რადგან მასწავლებლათ არის ნიკოლოზის დროის ერთი სალდათი, რომელიც ზაფხულობით სოფლის მწყემსის თანამდებობასაც ასრულებს. წერა სულ არ ცოდნია, იცის მხოლოთ კითხვა ჩათვლით. ამიტომ ჯამაგირის მიღების დროს სხვა აწერს მის მაგიერ ხელს: რადგანაც ამა და ამ მასწავლებელმა წერა არ იცის, მის მაგიერ ხელს ვაწერ და სხვ.

სასაცილოა, სამწუხარო რომ არ იყოს!

---

## სამშობლოს ცაზე.

წერა-კითხვის საზოგადოებამ წელსაც გამართა ჩვეულებისამებრ ორატორთა ენის საჯირითო მოედანი. დღეი დანიშნული იყო ამ თვის 19-ს თავად-აზნაურთა ბანკში. უნდა ვთქვათ, რომ წელს მეორეთ უმტყუნეს წევრებმა ტრადიციას და პირველსავე მიწვევაზე გამოცხადდენ იმდენათ საკმაო რიცხვი, რომ თავჯდომარის ზარას აღარ მოუნდა ლოდინი. ეს წარსული წლის კრების ნიშადურს მიეწერება, ვინაიდან მან და მხოლოთ მან აწმიდა საზოგადოების თვალებზე ის მტვერი, რომელიც ასე ამძიმებდა ძველთა ძველი გამგეობის წამწამებს.

ასე იყო თუ ისე, კრება შედგა და გაიმართა „რა ამბავია!" გამგეობამ, გამაგრებულმა მწვანე სტოლის საწვლებში, თვისი „თავმჯდომარის" და „ბოლომდე" დაუცხრომელის მედროშის ბაგით (ი. ჭავჭავაძე) ამცნო ჯარსა და ჯამაათს დიდებული წუთი: გაისმა ჰაერში ქუხილი კი არა ზარას წრიპინი და... მიინაბა ყველაფერი.

ასე ხდება ხოლმე დიდი ქარიშხლის წინეთ, ასეთია ჩვეულება ფალევნებისაც.

ეს წუთი მათი ერთ-ურთის ასაწონ-დასაწონია, მათი ქოჩორიდან ქუსლებამდე ასათვალ-ჩამოსათვალიერებელი და მათი მკლავებ დასაზელი.

რადგან ჩვეულება მოითხოვდა იმავე მეციხოვნეთ, ე. ი. გამგეობამ, გაახსენა ფალევნებს უპირველესათ ანგარიში წარსული წლის ბრძოლისა.

ოხ, ბევრმა, ბევრმა მაშინდელ საარჩევნო ყუთში სათეთროთ თავჩაკიდებულმა და შავათ კი ამოსულმა ამოიგმინა მწარეთ, რა გაიხსენა ძველი იარები თვის შესანიშნავ კეფაზე. ერთ იმათგანს, რომელიც იმით იქცევს ყურადღებას, რომ გამგეობის წინ მარად გაჭიმულია ვითარცა გიმნაზისტი ეგზამენზე, ისეთი ლვართქაფი გადმოექცა თვალთაგან, რომ სათვალეებს, რომ არ შეეყენებიათ, ერთიან მოსრავდა გამგეობის სუფრას. ბევრს რასმე ამბობდენ მისი ცრემლები და სიბრაზის გარდა უმეტესათ კი იმას, რომ „მე, მე, რომელიც, რომელსაც, რომელმაც ავაშენე, ვაშენებ და ავაშენებ მთელს საზოგადოებას არა ვზივარ იქ... აგერ იქ, თავჯდომარის მარჯვნივო?!".

ეხ, უფალო, განუგებელნი არიან ზრახვანი კენჭებისა!

არა, რა იქნებოდა, რომ ესეც იქა მჯდარიყო?! იქ თავმჯდომარესთან, გამგეობაში, ეამბორნა წმიდა ზარისთვის, დაეკოცნა მუხლი მისი მპყრობელისა.

ბოროტნი ხართ, ბოროტნი „შავო კენჭებო“ და ამიერიდან ასე ბოროტნი არიან ის ბანოვანნიც, რომელთაც მოწონთ „შავი თვალები“, ვინაიდან „შავი ფერი“ ესოდენ ტანჯვას აყენებს საარჩევნო ყუთში თავჩაყუდებულთ.

მახლა¹), რაც იყო იყო, თითზე კი არა ცხვირზეც, რომ იკბინოს საქმეს ვეღარას უშველის, წარსულს ვეღარ დააბრუნებს, მკვდარს ისევ მკვდარს დაუძახებენ თუნდ კუბო საფლავამდე თვითონ მიიტანოს!

დიახ, მეციხოვნეთ გაგვახსენეს წარსული წლისა ნეტარნი წუთნი. და ზოგს თუ ჯოჯოხეთი მოაგონდა, ზოგს ედემი გადაეშალა, მათ მოაგონდათ მაშინდელი ფალევნობა, გაახსენდათ ზათქი ზრიალი ომისა, ცემა კბილებზე ენისა, ოფლი, სისხლი და ბურტყლები, უბარსაკვეთო გუნები და დაუარაო ქრუანტელმა! ერთი მხცოვანი ორატორი სიამოვნებისაგან ისე შეკანკალდა, რომ წარსული წლის ლანდს ხელებით დაუწყო პოტინი. „არა, ეს ის არ არის, მე არა მგავს, მე ეს არ მითქვამს, მე ისილა ვთქვი, დამიჯერეთ, გამიგონეთ, შესწორეთ, შეიტანეთ, კითხეთ უშინსკის, მკითხეთ მე!“ თურმე საწყალ მდივანს შარშან ფონოგრაფი გულმავიწყობის გამო ვერ ჩაედვა პირში და გამოპაროდა ორატორის რამდენიმე სიტყვაკაზმული წინადადება. ამგვარი პრეტენზია სხვებმაც განაცხადეს, რომლის შემდეგაც აღიძრა კითხვა იმაზე: საზოგადოების მდივანი ფონოგრაფია თუ არა? შეუძლია თუ არა მას სინამდვილით ასოდან ასომდე გადაიღოს ყოველი ორატორი. მაგალითათ, შეუძლია თუ არა დაახველოს, როდესაც ორატორს ძვალი ყელში ეხირება, ყანყრატო უვიწროვდება, ან თვალები გარეთ უცვივა, სათვალეები უზუნდარას თამაშობენ და სხვ. და სხ... გამოირკვა, რომ ჯერჯერობით შემოქმედი გამწყრალია ადამიანზე და ამგვარი მანქანება მის ჭკუის კოლოფში არ მოუქცევია.

მაშასადამე, მიხვდა ბოლოს კრება, რადგან ორატორთა ნერვების თამაში არ შეიძლება „ტოჩკა-ზაპიტაიამდე“ აღინუსხოს, ამიტომ ვიწამოთ პოეტის სიტყვები და დავადგინოთ ერთხელ და სამუდამოთ, რომ „გძელი სიტყვა მოკლეთ ითქმის, შაირია ამათ კარგი“ და თუ ეშმაკი ბევრს გვალაპარაკებს ვიწამოთ ღმერთი მოკლეთ დავწეროთო. ერთი სიტყვით ამიერიდან ორატორებს ეძლევათ ნება მტკვარი დააგუბონ; იჭყქონ რამდენიც წყურიათ, ქარს ბზე გაატანონ, და პროტოკოლში კი მათი მარგალიტი ხვავი ჩაიყრება. მაგრამ აქ ერთი საკითხიც არის, ყველას შეუძლიან ბზე ქარს მიცეს და ხორბალი შეიძინოს? ზოგს ღვეძელი მოწონს, ზოგს ღვდლის ცოლი! ზოგს კი ორივე. მაშ რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩვენი მდივანიც ამ სამში ერთი გუნების არ იქნება? ორატორს თუ ღვდელი მოწონს და მას აწირვინებს, მდივანი პროტოკოლში „ფოფოდიას“ გაგვიჭიმავს და გაიგე ახლა, რომელ გუნებაზე იყო ორატორი, ისეთზე, როგორც მდივანს წყუროდა თუ ისეთზე, როგორც ორატორს უნდოდა. ერთი სიტყვით „სახლაფორთო“ საქმეა „სახლაფორთო!“.

ეს კითხვა ასე გადაწყდა!

გაინძრა კვლავ თავჯდომარის ზარი და სცენაზე გამოჩდა წითელ პერანგიანი, მკლავებ გადაწეული ორსავე პირით დაბასრული ხმლით ხელში „გლადიატორი“.—იგივე სარევიზიო კომისია. გამგეობამ ფარი მოიმარჯვა, მისმა ფალევანთა ფალევანმა ბ-ნმა მცხვეთაძემ ზარბაზანს საპირიწამლე დააყარა და გადმოაყუდა ციხეზე.

აი, სად იყო უგულოსათვისაც კი სულის ჩამდგმელი წუთი. აი სად იყო წუთი, რომელიც რაც უნდა წყალმანკიანი ყოფილიყავით, სისხლს აგიჩქროლებდათ ძარღვებში.

გამაგრდი გულო! იძახოდა გამგეობა.

იჭექე მეხო! შეყიოდა რევიზია. ხოლო ბ-ნი ცხვედაძე კი დარჩა ობლათ ბრძოლის მოედანზე. სხვა მისი ამხანაგები გარდა თავმჯდომარისა ისხდენ მრავალტანჯულ იობის სახით და მგონი სტოლის ქვეშ კრიანოსალს ათამაშებდნენ. ერთი სიტყვით ავარდა კორიანტელი, დაუქროლი გრიგალმა და გამგეობის წინ გამოჩდა ყუმბარა!

„ქიმუნჯი“ წაიკითხა თავმჯდომარემ.

— საიდან მოგვევლინა ეს? იკითხა მანვე.

— მე გახლავართ! მიუგო რევიზიის მოწინავემ, ბ-ნმა ანდრია გულაძემ და იყუჩა.

— რა არის? იკითხა ზარით იმივე თავმჯდომარემ.

— მაგას ჩვენს ენაზე რევიზიის მოხსენებას ეძახიან, მიუგო იმავე რევიზიის მოწინავემ.

— ვისი ხელთნაქნარია?

— არ ვიცი, იყო პასუხი მოკლეთ, მაგრამ მკაფიოთ.

— მაშ ციდან თუ ჩამოვარდა?! შეეკითხა კვლავ თავჯდომარე.

— არა, ციდან უცოდველნი მხოლოთ წყალობას ღებულობენ და ეგ კი ღვთის...

ყუმბარა თვითონვე გადატრიალდა და უჩვენა დაინტერესებულ გამგეობას რა იყო, ვინ იყო, საიდან მოდიოდა და რისთვის გაჩერდა მათ წინ. ცოტაოდენ გოგმანის შემდეგ რევიზიის ყუმბარა ჩაიჭრა გამგეობის კასაში და ამოაგდო იქიდან „ხაზინადარი“, მიაყოლა მას ზედ გამგეობისავე მდივანიც, რადგან ეს ორივე ისე ახლო ყოფილან ერთმანეთზე, რომ ერთს თუ ხელი წამოკარ მეორეც შეტოკდება. თურმე ნუ იტყვით ჩვენ გამგეობას მეტის-მეტი სიმსუქნისაგან თითო კაც. ნახევარი ყოლია თანამდებობაზე. ყოლია მას გამგეობიდან დანიშნული: ხაზინადრათ ბ-ნი არ. ჯორჯაძე, გამგეობის მდივნათ, ბ-ნი ა. სარაჯიშვილი; იმავე საქმეების სამსახურათ ბ-ნი ა. მირიანაშვილი, რომ ლიც ნახევარი გამგეობის ხაზინადარია და ნახევარიც მდივანი. ციფირებით რო გამოვხატოთ გამოვა ასე: ხაზინადრათ მთელი არჩილ ჯორჯაძე და ნახევარი მირიანაშვილი$=1\frac{1}{2}$. მდივნათ მთელი ა. სარაჯიშვილი და მეორე ნახევარი მირიანაშვილივე$=1\frac{1}{2}$ სულ დაიჭერს$=3$. ასე რომ შორიდამაც მტერს უყენებს თვალებს და ახლოდამაც მასვე ესსიუხვე! ხოლო იმავე ყუმბარამ განაცალკევა ეს ერთნახევრები და აღმოჩდა, რომ ა. ჯორჯაძე სულაც არა ყოფილა. არ ყოფილა ა. სარაჯიშვილიც. ვინაიდან გამგეობის ხაზინასაც და საწერელ-კალამსაც მხოლოთ და მხოლოთ იგივე ბ-ნი მირიანაშვილი ემსახურებოდა. ასე, რომ კასაში იხედება მირიანაშვილი, გამგეობის საწერ-კალამს ობსა წმენდს იგივე მირიანაშვილი. არ ჯორჯაძე და ა. სარაჯიშვილი კი მხოლოთ „სჩოტისთვის“ ყოფილან საჭირო. ეს ერთი და ნახევარი კაცი ერთ თანამდებობაზე ისევ ძველებურათ დარჩენ და კრებამაც უსურვათ ა. ჯორჯაძეს და ა. სარაჯიშვილს, რომ უბერონ და უბერონ ქარის წისქვილს!

ამის შემდეგ კვლავ ამცნო ზარამ ჯარსა და ჯამაათს, რომ ყუმბარამ კვლავ იფეთქა. დაინახეს ყველამ, რომ ეს ასე იყო, დაინახეს, რომ წარსულ წელს გამგეობის რევიზორს საზოგადოების სკოლების დასათვალიერებლათ ცხენი დაკოჭლებია. ზოგან მიუხწევია ზოგან ვერ, მ გრამ საცა მიუხწევია იქაც დღეც კი მისთვის ღამეთ გადაქცეულა, და ისეთი ზერა-ქვერა ამბავი მოუტანია თვისი რევიზიისა, რომ ისა ჯობდა ცხენის ნალებში მაინც არ დეეხარჯა ფარა. მიუხედავათ ამისა, სულგრძელმა და ენა მოკლე კრებამ ესეც მოიწონა. ხოლო ბ-ნ გიგო წულუკიძის აზრი, რომ სარევიზიო ცხენს ფეხი გაუსწოროთ—გადავდევათ ფული რევიზორის დასაქირავებლათო, არ

იქნა შეწყნარებული, რადგან კასმ მელოტი თავი ამოყო.

უკანასკნელ გრგვინვას შეადგენდა კავკავის სკოლის ამბავი. აი სად შეიჭიდენ ფალევნები. აი სად იმტვრეოდა ისარი ისარზე. პირველათ ყალხზე შედგა გამგეობის ფალევან-ყარდაში ი. ქავქავაძე. „კრებას არ მივცემ ნებას ამ საგანზე ილაპარაკოს", შეუტია მან.

გამგეობას არა აქვს ნება აგვიკრძალოს საანგარიშო წელში მოხსენებულ საქმეზე სჯა უპასუხეს მას.

— „გთხოვთ", ითხოვა თავმჯდომარემ.

აღკრძალვა „თხოვნაზე" ჩამოვიდა.

— „არ შეიძლება" კვლავ გაისმა ხმები.

— ეს გამგეობის საქმეა და არა საზოგადო კრებისა, წამოდგა ზემოხსენებული გემნაზისტივით მარად გამგეობის წინ გაჭიმული ორატორი, შეიქნია თავი, აათამაშა კოშკი და ჩახედა თვალებში გამგეობას: „კარგა ვსთქვი თუ არაო".

— ვნახოთ უსტავი! დაიძახეს აქეთ იქიდან.

გადმოვარდა „უსტავი".

ჩაიკითხეს, წაიკითხეს და ორი გამგეობის ბურჯის, სამი ბურჯთა სანჩო-პანჩოების აზრით გამოვიდა რომ, კრებას ნება არ ქონდა ელაპარაკნა კავკავის სკოლაზე.

ახ, სიწითლევ კაი ფერი ხარ, შე ოხერო, მაგრამ განა ყველას დევტყობი!

დიახ, არ გაწითლდენ ეს ბურჯთა ბურჯნი, ვინაიდგან დაავიწყდათ მათ, რომ ამ ერთი წუთის წინეთ ისენივე ლაპარაკობდენ გარდა კავკავისა დანარჩენ ყველა სკოლებზე. სჩანს ეს სკოლა მათის უსტავის ძალით აღკრძალული ხილია სხვებისთვის. ხოლო უფრო საინტერესო იყო თავმჯდომარის ჯერ „აღკრძალვა", მერე თხოვნა, და შემდეგ „უსტავის მუხლი". თუ ნება არა ჰქონდა კრებას სკოლებზე ლაპარაკისა, რათ აწკარუნებდა ზარს დანარჩენ სკოლებისთვის, და თუ ნება ჰქონდა, კავკავის სკოლა რაღათ გამოირიცხოს მისის ყურადღებიდან? მის დამქაშთა და მისივე წინაღმდეგი გამოვიდა გამგეობის მეორე ნახევარი, ესრეთ წოდებული შარშანდელი არჩევნის ყუთიდან ახალი ამოძახილი, გამგეობის მეორე გვერდი მეორე მხრიდან. მათ დაუბრუნეს საზოგადოებას, თავისი უფლება, არ წაართვეს ის რაც თავმჯდომარეს ნებავდა გამგეობისთვის ეჩუქებინა და ოპოზიციამაც, ნახა მას ჩოხა არ გაგადეს, აღარც ქურქი მოითხოვა. ე. ი. დაჰყვა გამგეობის თხოვნას, ააცთინა სამშობლო ცას ღრუბლები და ჯერჯერობით მიანება კავკავის სკოლაზე სჯა-ბაას ვიდრე თვით გამგეობა დაასრულებდეს ამ დაუსრულებელ საქმეს.

ამით გათავდა პირველი კრება, და როგორც ხედავთ ქარს მის მოედანზე საპატიო ადგილი ეჭირა!

*
* *

საყურადღებოა აგრეთვე ამავე საზოგადოების წარსული წლის ანგარიშში მოყვანილი ციფრები სახალხო ბიბლიოთეკების მკითხველთა რაოდენობისა.

მე გავჩუმდები და დეე თვით ციფრებმა მისცენ პასუხი ჩვენ ქალებს, რომელნიც ასე... ასე იბერ... მაგრამ არა, დეე ისევ სხვამა სთქვას.

აი რას ამბობს ეს სხვა ჩვენი ქალების განვითარებისაკენ მისწრაფების სურვილის შესახებ:

1901 წელს სახალხო ბიბლიოთეკებს თბილისში ჰყოლიათ მკითხველი!

ა) 3349 ვაჟი 23 ქალი!
ბ) 4,569 „ 519 „
გ) „207 „ 3 „ (გახსნილია 1901 წ. 24 ივნისს)

საწყალ ქალებს ალბათ არა სცალიათ!

საყურადღებოა ისიც, რომ თბილისის სამს სამკითხველოში იმავე წლის განმავლობაში ყოფილა 8670 მკითხველი, ხოლო ქუთაისის ერთ ბიბლიოთეკაში 16345. ე. ი. ორჯელ მეტი ვიდრე თფილისის სამ ბიბლიოთეკაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახსნა სრულებით მეტი იქნება.

კარგი იქნებოდა ქუთაისის ბიბლიოთეკასაც წესათ შემოეღო ეჩვენებინა ანგარიშში რამდენი იყო მკითხველი ქალი და რამდენი ვაჟი.

*
* *

მეორეთა და მესამეთ „უმზითვოთ" გათხოვების შემდეგ „ივერიამ", როგორც იყო გაიკვლია გზა და მიაგნო სასურველ პროგრამას. მან მთელი ცვლილება მოახთინა საქართველოს საქათმეებში, მიაყოლა რეფორმები რეფორმებს და დღეს მისი წყალობით ჩვენი ქათმები ერთ უგანათლებულ მკვიდრთ წარმოადგენენ შედარებით ევროპის ქათმებთან.

აი როგორ მიახწია „ივერიამ" ამ მიუწდომელ (სხვებისთვის რასაკვირველია) წერტილს. ის შეუდგა წარსული წლიდან უსაშინელეს შრომას და თავგამოდებით დაუწყო წვრთნა ქათმებს. ლექციებს ლექციებზე უკითხავდა, უხსნიდა თეორიით და პრაქტიკით, მაგ. როგორ უნდა „კვერცხების დება" („ივერიის". № 72) „ქათმის მოკრუხება, მისი კვერცხებზე დასმა და (მშობიარობის დროს) მოვლა" „კრუხის, კვერცხების და ბუდის მოვლა" (ივერ. № 73.) „აუცილებელი პირობა წიწილების ჯანმრთელობისა და მათის გამრავლებისა (ივერ. № 78.) „წიწილების აღზრდა' (ივერ. № 77) და სხვ. და სხვ. ერთი სიტყვით „ივერიის" მკითხველები ამ საქათმიდან ისმენდენ და ისმენენ ამგვარ ლექციებს და იმედია რომელიმე დედაბერი ერთ ბუმბულის ბალიშს მაინც მიუძღვნის მისი ქათმების მეთვალყურე გაზეთს, რომელსაც ისე სთვლემავს 25 წლის თვალმოუხუჭავათ საქათმეში ჯდომით, რომ თუ ჯინჯიმახები არ ამოუყენეს ძნელია მისი გაჩერება.

გვავიგეთ, რომ ინდოურებს და ბატებს პროტესტი განუცხადებიათ საქათმეში ქათმებისთვის. ამიტომ იმედია მეორე წლის ნახევარს, 6 თვეს საბედნიეროთ თვისი მკითხველებისა, „ივერია" მათზედაც დაიწყებს ერთგულ მზრუნველობას და განაგრძობს იმ გზას, რომელიც მას აურჩევია.

მაშ ვუსურვოთ ქათმებს წარმატება, დღეგრძელობა და გამრავლება!

რიგოლეტო.

---

## მომხმარებელი ამხანაგობანი ევროპაში *).

კაპიტალის მოპოებისთანავე წევრები, გატაცებულნი საქმის სიყვარულით, ენერგიულათ შეუდგენ ამხანაგობის სასარგებლოთ პროპაგანდას და ახალ წევრების შოვნას. წევრთა რიცხვმა ყოველ დღე იმატა, საწარმოებელი საქმე გაიზარდა, ასე რომ ამხანაგობამ იმავე წლის ბოლოს დაუბრუნა ფეიქართა სინდიკატს ნასესხი 2000 ფრანკი. სულ ცოტა ხანში ამხანაგობის საქმეები ისე გადიდდა, რომ ძველი სახლი საკმარისი აღარ იყო. ამიტომ Vooruit-მა იყიდა შუაგულ ქალაქში ერთი დიდი ფაბრიკის შენობა და იქ მოათავსა საუცხოვოთ მოწყობილი ფურნე, დარბაზი კრებებისათვის, ყავახანა დროს გასატარებლათ, თეატრი, ბიბლიოთეკა, ბიუროები, მაღაზიები და სხვა და სხვა. სულ ცოტა ხანში ფურნეს მიუმატეს ტანისამოსის მაღაზიებიც. 1885 წელს ამხანაგობამ გაიღო აფთიაქი. შემდეგ წელში დაიარსა სტამბა თავის საკუთარ გაზეთისთვის, რომელსაც იგივე სახელი ეწოდება, რაც თვით ამხანაგობას (Vooruit), და გახსნა ერთი ახალი განყოფილება. ორი წლის შემდეგ მან გახსნა მესამე აფთიაქი, საწვრილმანო მაღაზია, ერთი მაღაზიაც კოლონიურ საქონლებისათვის; 1889 წელში

*) იხ. „კვალი" № 21.

არსებულ ორ ფურნეს მიუმატა მესამე მათზე კიდევ უფრო დიდი და უკეთ მოწყობილი. ამ დროს ამხანაგობის ფურნეებში ცხვებოდა და წევრებზე სადდებოდა წლიურათ 32000 კილო პური. 1892 წელს ამხანაგობამ 70000 კილო პური გამოაცხო და გაყიდა.

ამხანაგობის შინაგანი ორგანიზაცია საქმე, რაც შეიძლება, მარტივათ არის დაყენებული. Vooruit-ში წევრათ ჩაწერისთვის საკმარისია მსურველი გამოცხადდეს იქ, თავი ჩააწერიოს, 1 ფრანკი წევრობისთვის გადიხადოს, 25 სანტიმიც საკოოპერაციო წიგნაკისათვის და შეპირდეს, რომ სოციალისტურ პარტიასთან კარგ განწყობილებას იქონიებს.

ყოველ სამ თვეში ანაწილებენ მომხმარებელთ შორის პურის წარმოებისაგან მიღებულ მოგებას იმის მიხედვით, თუ ვის რამდენი უყიდია, ეს მოგება ურიგდებათ წევრებს არა ფულათ, არამეთ მარკებით, რომლებშიაც ისინი შემდეგ მოთხოვნისამებრ მიიღებენ ამხანაგობის მაღაზიებიდან სხვა და სხვა ნივთებს: ტანისამოსს, საცვლებს, ხორაგეულობას და სხვას.

მოგების განაწილების ამ ნაირ სისტემას წყალობით ამხანაგობას ყავს მუდმივი მუშტრები,—წევრები უმთავრესათ ამხანაგობის საშვალებით აკმაყოფილებენ თავის მოთხოვნილებებს. გარდა ამისა Vooruit-ი აძლევს თავის წევრებს სხვა გვარ სარგებლობასაც: მას აქვს დაარსებული შემნახველი კასსა და მიბარებულ ფულში 4%-ს იძლევა; ავათყოფობის დროს წევრებს აძლევს დღეში თითო კილო პურს უსასყიდლოთ ექვსი თვის განმავლობაში, თუ წევრს შეაქვს თვიურათ 5 სანტიმი ამხანაგობის კასაში; ასევე თვეში 5 სანტიმის გადახდით წევრს ეძლევა ავათყოფობის დროს მუქთათ ექიმის დახმარება და წამლები ამხანაგობის აფთიაქიდან; წევრების ცოლებს მოლოგინების დროს ამხანაგობა უგზავნის ერთი კვირის განმავლობაში პურს სუნელ-მწვანილეულობას და ნახშირს; როცა რომელიმე წევრი გარდაიცვლება, მის ოჯახს უწევს 10 ფრანკის შემწეობას დამარხვის ხარჯების დასაფარავათ. გარდა ამისა Vooruit-ს დაარსებული აქვს საპენსიო კასსა.

ამ ჟამათ გენტის ამხანაგობა შეიცავს, გარდა ფურნეებისა, 5 საწვრილმანო მაღაზიას, 4 აფთიაქს, მრავალ მაღაზიებს, რომლებშიაც იყიდება ნახშირი, ტანისამოსი, თეთრეული, საკერავი და საქსოვი მასალები, მეპელი და სხვა.; გარდა ამისა ამხანაგობას გამართული აქვს სხვა და სხვა დაწესებულებები სწავლა-განათლებისა და გართობისათვის. ხარჯების შემცირების მიზნით Vooruit-მა დაარსა სამკერვალო სახელოსნოები, საცა კერავენ იმ ნივთებს, რომლებიც შემდეგ სადდება ამხანაგობის წევრებში.

1897 წ. ამხანაგობის რამდენიმე შენობა დაიწვა, ზარალი ერთ მილიონამდი იყო. ამხანაგობას დაზღვეული ქონდა შენობა, დამწვარი შენობები მალე განაახლა ამხანაგობამ. ხსენებულ წელში Vooruit-ს 6911 წევრი ყავდა ახლა კი მისი მუშტრების რიცხვი 7000 ოჯახს აღემატება.

ნაკლები წარმატებით არ მიდის წინ ბრიუსელის ამხანაგობაც („სახალხო სახლი“), რომელიც 1881 წელს დაარსდა შედარებით ამისი საქმეები უფრო მცირეა ვინემ Vooruit-ისა. ბრიუსელის „სახალხო სახლი“ უმთავრესათ პურის ფაბრიკაციის და საწვრილმანო საქონლის გაყიდვის საქმეს აწარმოებს.

დასასრულ ვთქვათ ორიოდე სიტყვა საფრანგეთის მოეხმარებელ ამხანაგობების შესახებაც. ამგვარ ამხანაგობათა რიცხვი საფრანგეთშიაც საკმაოთ დიდია. ამათში ყველაზე უფრო შესანიშნავია თავისი სიმაგრით პარიჟის ამხანაგობა, რომელსაც სახელათ Maissonneuse (მომკელი) ეწოდება.

ამ ამხანაგობის დაარსება ცოტა ახირებულათ მოხთა. 1874 წელს, ერთ საღამოს, პარიჟის ერთ-ერთ სამიკიტნოში სამი მეგობარი იჯდა და ღვინოს სვამდა. ერთმა მათგანმა დაიწყო ოხუნჯობა,—ეს ღვინო ისე გაყალბებულია, რომ, სახელათ ნაცვლათ ღვინისა, წითელი მიქსტურა უნდა ერქვას, მეორე მისმა ამხანაგმა გამოთქვა აზრი, თუ თვითონ ჩვენ ვიყიდით ერთ ბოჭკა ღვინოს, უფრო იეფათ დაგვიჯდება სმა, ვინემ მიკიტანთანო; და თუ მოგებასაც გადავდებთ, შემდეგში კიდევ მეტი ღვინოს ყიდვა შეგვეძლებაო. მესამემ წამოიძახა: „ეს ხომ კოოპერაცია იქნება; მოდი და დავაარსოთ ამხანაგობაო. მოვიმხროთ ჩვენ აზრზე სხვა ჩვენი ამხანაგებიც; საკმაოა არის, ამხანაგების მომხრობით ჩვენ მომკელები გავხთებითო“. აქედან წარმოდგა შემდეგში თვით ამხანაგობის სახელი „მომკელი“. რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ შეხვდნენ ეს მეგობრები ერთმანეთს იმავე სამიკიტნოში და საბოლოვოთ გადაწყვიტეს ამხანაგობის დაარსება.

იმავე წელში გაიხსნა „მომკელის“ პირველი მაღაზია. თავდაპირველათ თვითონ წევრები მიდიოდნენ რიგ-რიგობით მაღაზიაში და ყიდდნენ საქონელს. შრომას თითოეული უსასყიდლოთ ასრულებდა. თუმცა ასე შეუძლო და სუსტი იყო ამ დროს ეს ამხანაგობა, მაგრამ მისი გაჩენა მაინც არ მოეწონათ იმ უბნის ვაჭრებს. მათ დაიწყეს მის წინააღმდეგ ბრძოლა და სახლის პატრონები დაითანხმეს, რომ ამხანაგობისთვის იმ უბანში სახლი არ მიექირავებიათ. ამხანაგობა იძულებული შეიქნა სხვა უბანში გადაბარგებულიყო.

მიუხედავათ დევნისა და ფინანსიურ ულონობისა Maissonneuse თან და თან იზრდებოდა და ძლიერდებოდა. ამხანაგობის ჩქარს ზრდას უეჭველათ იმ გარემოებამაც ძალიან შეუწყო ხელი, რომ მსურველთათვის იქ წევრათ შესვლა მეტათ გაადვილებულია. ამხანაგობა აიძულებს ყველა მასთან მყიდველს, რომ წევრი შეიქნეს. წევრათ გახთომისათვის საკმარისია 1 ფრანკის და 40 სანტიმის (55 კაპ.) შეტანა. შემდეგ წევრი საჭიროების მიხედვით ყიდულობს საქონელს ამხანაგობის მაღაზიაში. მოგების გაყოფის დროს გამგეობა იტოვებს ყოველთვის მის ხვედრ წილს, სანამ მთელი პაის ფასი შესრულდებოდეს. ამნაირათ მუშტარი ხდება ამხანაგობის წევრათ საწევრო ფულის ნაღდათ შეუტანელათ. პაის ფასი 60 ფრანკია. თუ მუშტარმა წლიურათ მიახლოვებით 500 ფრანკის საქონელი იყიდა ამხანაგობის მაღაზიაში, იგი ორ წელიწადში მაინც გახდება ამხანაგობის ნამდვილი წევრი.

როგორც ვთქვით, თავდაპირველათ „მომკელის“ მაღაზიაში თვითონ წევრები ყიდდნენ საქონელს. ახლა კი ამხანაგობას 200 სხვა და სხვა მოსამსახურე ყავს დაქირავებული. დაარსების წელს წევრთა რიცხვი იყო 19 და ყოველ დღიური დახლი 35 ფრანკი. ახლა ამხანაგობაში 18000 წევრია და მისი კასის ყოველდღიური შემოსავალი 23000 ფრანკამდი ადის. საერთო საალებ-მიმცემო საქმეების ჯამი 8 მილიონს აჭარბებს წლიურათ. ამხანაგობას აქვს სხვათა შორის 8 საწვრილმანო მაღაზია, 2 ფურნე და პურის დუქანი, 2 დიდი საწყობი არაყისა და ღვინისათვის; სხვა კიდევ მაღაზიები რკინეულობის, ნახშირის, ტანისამოსის და ფეხსაცმელის. გარდა ამისა აქვს აგებული ერთი დიდი საწყობი, საცა ინახავს საკუთარ პოვოზკებს, ცხენებს და სხვა და სხვა საქონელს. მარტო ამ ერთი საწყობის ღირებულობა აღემატება ერთ მილიონ ფრანკს.

---

## ბიბლიოგრაფია.

ა. თ. ბიკოვისა. ამბები ინგლისის ისტორიიდან მე-XI საუკუნიდან მე-XIX საუკუნის დამლევამდე. თარგმანი კ. ს. ჩხეიძისა ფასი 1 მ.

საისტორიო სიაში ძვირათ მოიპოვება ისეთი მნიშვნელოვანი წიგნი, როგორიც არის ზემოხსენებული გამოკვლევა!

რით არის იგი საყურადღებო? პირველათ და უმთავრესათ მით, რომ ის წარმოადგენს ნამდვილ ისტორიას და არა მეფეთა და ომთა უბრალო სიას, რაც ასე დამახასიათებელია მრავალი გამოკვლევებისათვის... ჩვენ ვიცით, რომ ისტორია ეხება ადამიანთა მოქმედებას, საზოგადოების სხვა-და-სხვა ჯგუფთა ურთიერთობას და დამოკიდებულებას... ვიცით აგრეთვე, რომ სოციალური პირობების ზეგავლენით მათში ერთი-მეორის ნიადაგი დაპირდაპირება და გამწვავებული ბრძოლაა... აქედან, თავისთავათ იგულისხმება, თუ რა საინტერესო და ცოცხალი უნდა იყოს ისტორიული მეცნიერება, რომელიც გამომხატველია ამ სოციალურ პროცესისა!... და სწორეთ ამგვარია ხსენებული გამოკვლევა... კვლევა-ძიების საგნათ მასშია გამოყვანილი ინგლისი—ეს შესანიშნავი კლასიკური ქვეყანა—მეთერთმეტე საუკუნედან მეცხრამეტე საუკუნემდე... ყოველი წვრილმანი ამბავი, მცირე ფაქტი მოყვანილია იქ,—მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ყველა ეს აკიძულია ისეთ ძაფზე, რომელიც სამკვიდრო-სასიცოცხლოთ ამოძრავებდათ ინგლისელებს... ჩვენ არ გვსურს ამ წიგნის შინაარსი მოვიყვანოთ აქ; ამისათვის საჭირო იქნებოდა მთელი წიგნი გადმოგვეწერა... საჭიროა მხოლოთ განვიხილოთ მოკლეთ ერთი უმთავრესი მომენტი ინგლისის ცხოვრებიდან, მით უმეტეს, რომ ამ მომენტზე, როგორც ამამოძრავებელ ძარღვზე, აგებულია ინგლისის თითქმის მთელი ყოფა-ცხოვრება... ეს არის პარლამენტის წარმოშობა და განვითარება... აქ იყრის თავს ხალხის სხვა და სხვა ინტერესები, აქ წყდება სხვა და სხვა საჭირბოროტო კითხვები, აქ არის გამწვავებული ბრძოლა საზოგადოებრივ ჯგუფთა შორის!...

ნორმანების დაპყრობის შემდეგ არ მოსპობილა ეგრეთ წოდებული „დიდი საბჭო“. ის კიდევ არსებობდა, მხოლოთ იმ გარჩევით, რომ ეხლა შეეძლო მიეღო მონაწილეობა მასში თითქმის ყველა მეფის ვასალს... თუ როგორ გადაიქცა ის პარლამენტათ, ამას გვიხსნის შემდეგი გარემოება. მეფეს ფული ესაჭიროვებოდა და ამისათვის უნდა მიემართნა საბჭოსათვის, რომ ამ უკანასკნელს ხალხში ფული შეეგროვებია... მაგრამ, ფულის მალე მოკრება შეიძლებოდა მხოლოთ მაშინ, როცა ხალხს საბჭოში თავისი წარმომადგენელი ეყოლებოდა. მეფეც ასე მოიქცა. მან მიიწვია საბჭოში ორ-ორი კაცი ლორდებთაგან, რომელნიც მათ საერთო კრილობაზე უნდა აერჩიათ წარმომადგენლათ... ამგვარათვე მოექცა მოქალაქეხელოსნებსაც, რომელთაც სხვა და სხვა უფლებებისათვის თავისი წარმომადგენლებით უნდა ეძლიათ მეფისათვის განსაზღვრული ხარკი. ამას გარდა, მეფეს ქონდა მხედველობაში, რომ მოქალაქეთა ელემენტით საბჭოში უმაღლეს არისტოკრატიას შეასუსტებდა... ეს წყობილება შემდეგ ფორმალურათ დააკანონა იოანე უმამულომ, როცა გამოსცა თავისი ეგრეთ-წოდებული „დიდი ხარტია“, რომლის მიხედვით პარლამენტის ელემენტებს შეადგენდენ: ლორდები, სამღვდელოება და თემები... ედუარდ მეორის დროს რაინდები, ანუ წვრილი ბარონები თემებს მიეკედლენ, უმაღლესი სამღვდელოება კი—ლორდებს; ამით პარლამენტი გაიყო ორ ნაწილათ: ერთი მხრით დადგა ლორდთა პალატა და მეორეთი—სათემო პალატა... უმთავრესი მომენტი პარლამენტის განვითარებისა ამ დროს გამოიხატება შემდეგში: მეფეს აღარ აქვს ნება პარლამენტის დაუთანხმებლათ ხარკი მოკრიბოს, ან და შემოიღოს ახალი გადასახადი მისდა დაუკითხავათ. პლანტაგენეტების და ლანკასტერების მეფობაში პარლამენტი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა—რამენაირათ დაეცვა შეძენილი უფლებები. და მიზანს კიდეც აღწევდა, რადგან მას ხელს უწყობდა მეფეთა უფულობა და სამეფო მემკვიდრეობის არევ-დარევა. ჰენრიხ მეექვსის დროს პარლამენტმა აიძულა მეფე—ყოველი კანონი დაედგინა და დაემტკიცებია მას ბილის ფორმით, ასე რომ მას აღარ შეეძლო უწინდებურათ თავის ნებაზე შეეცვალა ის, რაც რომ პარლამენტში გადაწყდებოდა... იორკის გვარის გამეფების ხანაში პარლამენტი დროგამოშვებით იკრიბებოდა და მაშინდელ არეულობაში სახელმწიფოს მართველი მარტო მეფე გამოდიოდა. აქ მოხდა ნამდვილი რეაქცია. ედუარდ მეორემ ომების დროს ბევრი ადგილ-მამული მიისაკუთრა, ვაჭრობაში სპეკულიაციით ხაზინა გაამდიდრა, გარეშე ომს ერიდებოდა, და ამით თითქმის დამოუკიდებელი ხდებოდა პარლამენტისაგან, რადგან ამ უკანასკნელს ის ისე აღარ საჭიროებდა, როგორც სხვა მეფეები. პარლამენტის უფლების დამცირება პირველათ იმაში გამოიხატა, რომ მეფემ უმისოთ შემოიღო ახალი გადასახადი მოქალაქეებზე ვითომდა შემოწირულების ფორმით. ტიუდორების დროს კი პარლამენტი მთლათ დაეცა. „მაგრამ ამასთანავე თავი იჩინა ახალმა მიმდინარეობამ. იმ დროს თან და თან ძლიერდებოდა ვაჭარ-მრეწველთა კლასი, რამაც შემოიტანა უფრო ძლიერი ელემენტი. ჯერ კიდევ ელისაბედის დროს არ იყო პარლამენტი დაკმაყოფილებული და იაკობ პირველის დროს კი პირდაპირი პროტესტი გამოაცხადა. სტიუარტების დროს ოპოზიცია კიდევ მეტათ გაძლიერდა და კარლო პირველის მეფობაში კი ისე გამწვავდა, რომ საჭირო შეიქნა სამხედრო ომით რესპუბლიკა დაემყარებიათ... სტიუარტების რესტავრაციის შემდეგ პარლამენტმა ისევ მოიპოვა თავისი უფლებები. იაკობ მეორის წინააღმდეგობამ მხოლოთ ხალხის აჯანყება გამოიწვია და მით ბრძოლა კიდევ უფრო გაამწვავა. ამ მომენტიდან შეიძლება ითქვას, რომ პარლამენტმა სამოქმედოთ ნამდვილი მტკიცე ნიადაგი მოიპოვა. და მართლაც, 1832 წელს მოხდა პარლამეტის რეფორმა, რომელმაც სხვათა შორის დაადგინა შემდეგი: მთავარ მინისტრათ შეიძლება დაინიშნოს მხოლოთ გამარჯვებული პარტიის მეთაური პარლამენტში; მეფეს მხოლოთ ფორმალურათ უნდა დაემტკიცებია ეს. რაკი პარლამენტმა მკვიდრი ნიადაგი მოიპოვა, ეხლა შეიქნა ბრძოლა სხვა და სხვა პარტიათა, სხვა და სხვა ელემენტებ შორის. პირველათ პარლამენტში მსხვილი მემამულენი იმარჯვებდენ, რაც ასე ნათლათ გამოიხატა ეგრეთ წოდებულ „პურის კანონებში“. 1815 წელს ინგლისში აკრძალეს პურის შემოტანა, რამაც დიდი შიმშილი გამოიწვია დაბალ ხალხში, ვაჭრობა და მრეწველობა კი ძლიერ შეაფერხა. თავის თავათ იგულისხმება ისიც, რომ ეს კანონი ძლიერ სასარგებლო იყო მემამულეებისათვის, რომელნიც ამით პურს დიდ ფასათ ყიდდენ. ატყდა ბრძოლა. ვაჭარ-მრეწველთა კლასმა, ბევრ დამარცხების შემდეგ, როგორც იყო, გაიმარჯვა: პურის კანონი გააუქმეს. ამ მომენტიდგან პარლამენტში გაძლიერდა საშვალო კლასის ელემენტი—ბურჟუაზია. მაგრამ აქედანვე იწყება მასთან ინტერესების დაპირდაპირება მშრომელი ხალხისაგან, რომელმაც შექმნა მოძრაობა სახელწოდებით ჩარტიზმი. ჩარტისტები თხოვდენ: ა) ხმის საყოველთაო უფლებას; ბ) პარლამენტის ყოველწლიურათ განახლებას; გ) დახურული კენჭის ყრას; დ) ცენზის კანონის გაუქმებას; ე) პარლამენტის წევრებისათვის ჯამაგირების დანიშვნას და ვ) თანაბარი საარჩევნო ოლქებს. აქედან იწყება ბრძოლა, რომელიც პარლამენტში ცოტაოდნათ აძლიერებდა მშრომელი ხალხის ელემენტს...

მაგრამ კმარა... მკითხველი აქედანაც მიხვდება და წარმოიდგენს, თუ როგორ საინტერესოთაა შედგენილი ხსენებული გამოკვლევა. კითხულობთ მას—და თქვენ წინ იშლება არა მშრალი ფაქტები, არამედ თვითონ მღელვარე ცხოვრება ინგლისისა, თქვენ წინ იშლება და მწვავდება დაპირდაპირება სხვა-და-სხვა ინტერესებისა, თქვენ ხედავთ თვითონ პარლამენტს და როგორც მსმენელი ძლიერ დაინტერესებული უყურებთ მასში მოწინააღმდეგე ელემენტების ბრძოლას, გალაშქრებას. აი, ეს არის ნამდვილი ცხოვრება, რომელიც სარჩულათ ედება მის

გამომხატველ დრამას - ისტორიას. და კიდეც ამით ხსენებული გამოკვლევა, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ნამდვილი ისტორიული აღწერაა... ამას გარდა, ამ გამოკვლევაში ბევრი სხვა ადგილებიცაა ნამდვილი მეცნიერულად შემუშავებული; ეს არის ინგლისის გადახლართული მიწათ-მფლობელობის (ლენის) შესახებ, ბატონ-ყმობაზე და მის დაცემაზე და სხვა...

თუ ასე საინტერესოა ეს გამოკვლევა თავისთავათ, ორი იმდენი საინტერესო და მნიშვნელოვანია ის ჩვენთვის — ქართველებისათვის, რომელთაც არ მოგვეპოვება ერთი კარგი ისტორიული წიგნიც. ამიტომ ეს გამოკვლევა უსათუოთ დაიჭერს პირველ ადგილს ჩვენს ლიტერატურაში... ჩვენ აქ არ შევეხებით გამოცემის გარეგან მხარეს. მხოლოთ ძალიან ვურჩევთ ჩვენ მკითხველს არ დატოვოს უყურადღებოთ ეს ფრიად საყურადღებო და საჭ[illegible]იგნი.

გრ. რობაქიძე.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ქ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზ. „კვალის" საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ თერგის ოლქის მცხოვრებთ რუსთ, ბ-ნ მაქსიმე ივანეს ძე სტიუჟკოვს და სპირიდონ ლევანის ძე ნაიდენოვს. რადგანაც მათ შემოწირეს პირველმა ხუთი მან. და მეორემ ერთი მან.. „სნო"-ს უფასო სახალხო სამკითხველო-ბიბლიოთეკას.

დამაარსებელი და გამგე სამკითხველოსი ერმალოზ სირბილაძე.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.


# განცხადებანი.

თფილისის კერძო სამკურნალო

## მ. გედევანიშვილისა

(კუკია, ნიკოლოზის ქ., სახლი საგინაშვილისა, № 21).

ტელეფონი № 274.

ავათმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა:

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე — კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი - ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ., სამშაბ. ხუთშაბ. და შაბათისა.

ბ. გ. მაღალაშვილი — შინაგ. სამშ. და ხუთშ. 10—11.

ნ. ა. მუღინი — ყურის, ყელისა და ცხვირისა, 11—12.

ი. პ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი, 10—12.

კ. მ. ელიოზიშვილი — შინაგ. და ბავშ. 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი — ნერვებისა, შინაგ. და წამლობა ელექტრონით 12—1.

ა. გ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით ოთხშაბათ. და პარასკეობით, 12—1.

ს. ა. ვოინო — ქირურგიული, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბ. 1—2.

გ. მ. ამბარდახოვი — სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1—2.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი - დედათა სნეულებანი, 5—6.

მ. გ. იანჩევსკი - ყურის, ყელის და ცხვირის 5—6, კვირაობით 12—1.

ა. გ. მაღალაშვილი — შინაგანი და ბავშვებისა, მიკროქიმიურა გამოკვლევანი 5—6.

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ:

ბ. გ. მაღალაშვილი — შინაგან ავათმყოფ., 10—12.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები. ფასი [illegible] დღიგებისა 50 კაპ., ოპერაციები და კრაოტები მოგებით.

(წლ.).

# გაზეთი „ივერია",

**რომლის გამომცემელია დღეს თ. ი. გ. ჭავჭავაძე,**

გადადის საკუთრებათ „ივერიის" ამხანაგობის ხელში.

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების ძე, დოქტორი გაბაშვილი, დიმიტრი გრიგოლის-ძე, ლოლობერიძე, ნიკოლოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი, იაკობ სვიმონის ძე, გძელიშვილი, გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე, ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოზის-ძე, ჯაბადარი ივანე სპირიდონის-ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაზერიძე, ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე. და ყიფშიძე გრიგოლ თეოდორეს-ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიმართოს „ივერიის" რედაქციას, რომელიც ამ წლის 1 მაისიდან მოთავსებული იქნება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათი პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.

პოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერა ტურო

**ნახატებიანი გაზეთი**

# „კ ვ ა ლ ი"

(წელიწადი მეათე)

გამოვა **1902** წელსაც ყოველ კვირა დღეს, ერთიდან სამ თაბახამდე

**მომატებული ფორმატით.**

წლის განმავლობაში „კვალში" დაიბეჭდება მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეთა სურათები (ევროპის, რუსეთის და ჩვენის) მათი ბიოგრაფიებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქართველ მოღვაწეებს

გაზეთი წლიურათ ღირს თფილისში 7 მან., თფილისს გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან. თითო ნომერი სამი შაური. ადრესის გამოცვლა თფილისს გარეთ ღირს ორი აბაზი.

ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილ-ნაწილათ შემოიტანონ:

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა), რკინის გზის სადგურზე - პირველი კლასის ბუფეტში ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით „კვალის" რედაქციაში, ბარონის ქუჩა, № 27.


Дозволено цензурою Тифлисъ 25 мая 1902 г.

სტამბა კ. ი. მარტიროსიანცისა, დიდი ვანქის ქ. № 1—2.